5544

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

კვირა 22 ივნისი 1941 წ. № 145 (6150) ფასი 15 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ჩაის ნედლეულისა და პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის

ჩაის ნედლეულისა და პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლა საქართველოს სუბტროპიკული რაიონების პარტიული, ...

პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა და რაისაბჭოების აღმასკომებმა ყოველდღიური ხელმძღვანელობა და დახმარება უნდა გაუ-...

... ნიგვზიანის, სუფსის, მამათის, ჩოხატაურის, დიდიჯყონის, წალენჯიხის და სხვა ფაბრიკებს.

ჩაის ფოთლის ხარისხი გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს. ამისათვის კი საჭიროა მოწინავეთა გამოცდილების მიხედვით ყველა კოლმეურნეობაში, ყველა ბრიგადასა და რგოლში ფართოდ დაინერგოს ჩაის განუწყვეტელი კრეფა.

ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა უნდა დააწესონ მტკიცე კონტროლი იმაზე, რომ ჩაი იკრიფებოდეს დროულად და მთელი დამზადებული ფოთლის გადამუშავება ფაბრიკებში ხდებოდეს შეუფერხებლად, ყველა ტექნოლოგიური პროცესის ზუსტად დაცვით. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ გეგმა მხოლოდ მაშინ ითვლება შესრულებულად, როდესაც ფოთლის კრეფისა და დამზადების რაოდენობრივ დავალებებთან ერთად შესრულებული იქნება ჩაის ნედლეულისა და მზა პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლებიც.

... ლებისათვის. სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ჩაის თვითეულ ფაბრიკაში განუხრელად სრულდებოდეს საკ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციის ისტორიული გადაწყვეტილებანი.

შრომის სწორად მოწყობა, დისციპლინის განმტკიცება, რიტმიული მუშაობა, ჩაის ფაბრიკებში სისუფთავისა და წესრიგის მტკიცედ დაცვა, სოცშეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლა — აი, რა უზრუნველჰყოფს არსებულ ნაკლოვანებათა დაჩქარებით გამოსწორებას.

ამჟამად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თვითეულ დეკადას, თვითეულ დღესა და საათს. ამოცანა ის არის, რომ გადაჭრით გავაძლიეროთ ჩაის მწვანე ფოთლის კრეფისა და დამზადების ტემპები, გავაუმჯობესოთ ნედლეულისა და პროდუქციის ხარისხი და მივაწოდოთ ქვეყანას მეტი და უკეთესი ხარისხის ჩაის პროდუქცია.

ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის გასტროლები თბილისში

სპექტაკლ „მტრების“ დიდი წარმატება

გუშინ გრიბოედოვის თეატრის სცენაზე ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრმა წარმოადგინა დიდი რუსი მწერლის მაქსიმ გორკის „მტრები.“

სპექტაკლმა დიდი შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებელზე. უფროსი თაობის მსახიობებთან ერთად სპექტაკლში წარმატება ხვდა თეატრის აქტიორულ ახალგაზრდობას. მაყურებლებმა მხურვალე ოვაციები გაუმართეს სპექტაკლის დამდგმელს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს გ. სულიაშვილს და სპექტაკლში მონაწილე რესპუბლიკის სახალხო არტისტს ი. ზარდალიშვილს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტებს შ. ხონელს და ვ. ჩხიკვაძეს, მსახიობებს ს. ვაჩნაძეს, თ. ღვინიაშვილს, მ. გელაშვილს, თ. კიკნაძეს, ვ. მეგრელიშვილს, ი. ხვიჩიას, ვ. კინწურაშვილს და სხვ.

„მკაცრი ქალიშვილები“ მარჯანიშვილის თეატრში

გუშინ მარჯანიშვილის თეატრმა გვიჩვენა სეზონის უკანასკნელი პრემიერა — კ. ბუაჩიძის კომედია „მკაცრი ქალიშვილები“. პიესა დადგა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ბ. გამრეკელმა, მხატვრობა მ. აბყანდაძის და მუსიკა — ა. კერესელიძისა. მთავარ როლებს ასრულებდნენ: მ. ქორელი (თოსნე), ა. დონჯანელი (გულიკო), ბ. გამრეკელი (მუზა), გ. შავგულიძე (ნაპოლეონ), კ. კვანტალიანი (ბურდღუ), ა. ჟორჟოლიანი (ივანე), ლ. შატბერაშვილი (თენგიზ), ა. ეძგვერაძე (ჯიმშერ), შ. ჯაფარიძე (ექიმი), ა. სიხარულიძე (არევაძე) და სხვ.

სპექტაკლმა წარმატებით ჩაიარა. მაყურებელმა კომედია გულთბილად მიიღო და მხურვალე ტაშით დააჯილდოვა ავტორი, რეჟისორი და აქტიორები.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია მ. ი. ლერმონტოვის გარდაცვალების 100 წლისთავის აღსანიშნავად

მესამე, საბოლოო სხდომა თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიისა, რომელიც მიეძღვნა ... დოც. თინათინ მრევლიშვილისა, „ახალი ცნობები ლერმონტოვის დუელის შესახებ“ — დოც. გ. კვიტაშვილისა, „ქართველი ქალი და ...

თემურის საფლავის გათხრები

სამარყანდი, 19 ივნისი (საკდესის სპეცკორი). უკვე გახსნეს ცნობილი დამპყრობის თემურის შვილების—მირან-შაჰისა და შაჰრუხის შვილიშვილის ულუგ-ბეგის აკლდამები. ...

... რეკორდს, რომელიც ფრანგ ჟან ტარის ეკუთვნის.

მსოფლიო რეკორდი აქვს იაკ მედიკას (ამერიკა) — 3 წუთი 21,6 წამი.

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაზგათმშენებლობის სახალხო კომისრის მოადგილეებად დანიშნა ამხ. ა. მ. პეტროსიანცი (პირველი მოადგილე), პ. გ. ზამოგილნაია, ი. ვ. კომზინი და პ. ნ. ქიდკოვი (კადრების დარგში).

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაამტკიცა დაზგათმშენებლობის სახალხო კომისარიატის კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე — სახალხო კომისარი ამხ. ა. ი. ეფრემოვი, წევრები — ამხ. ა. მ. პეტროსიანცი, პ. გ. ზამოგილნაია, ი. ვ. კომზინი, პ. ნ. ქიდკოვი, ა. პ. რიბკინი, ს. ი. ფომინი, ა. ე. ვიატკინი და პ. ფ. ტარანჩევი. (საკდესი).

ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია

ქობულეთი (ტელეგრაფით). ხუცუბნის ჩაის ფაბრიკამ ნახევარი წლის გეგმა დაწესებულ ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულა. ... წინაბრული 74.700 კილოგრამისა; ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 120,6 პროცენტით.

კობახიძე

ხუცუბნის ჩაის ფაბრიკის დირექტორი.

სახალხო სასამართლოების არჩევნები

საუბარი სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისართან ამხ. ნ. მ. რიჩკოვთან

უახლოეს თვეებში მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო სასამართლოების არჩევნებს დაიწყებენ. საკდესის კორესპონდენტთან საუბრის დროს სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარმა ამხ. ნ. მ. რიჩკოვმა განაცხადა:

— თავისი ორგანიზაციის პირველი დღიდანვე საბჭოთა სასამართ-...

... რიგში დგას სახალხო სასამართლოების არჩევნები. სახალხო მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები პირველად იქნებიან არჩეული საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. აარჩევია დაახლოებით 9 ათასი სახალხო მოსამართლე და ...

... ამან მნიშვნელოვნად განამტკიცა სასამართლოები და სოციალისტური მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში ჩაება სოციალიზმის საქმის ერთგული ათასობით ახალი ადამიანები. დღის წეს-... ბის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, ყოველგვარი ნაკლის ლიკვიდაციისა და ამომრჩევლებთან თავიანთი კავშირ-ურთიერთობის განმტკიცებისათვის. (საკდესი).

პირველი საბჭოთა სასწავლო წლის შედეგები

საუბარი ლატვიის სსრ განათლების სახალხო კომისართან, ამხ. ვალესკალნთან

რიგა, 20 ივნისი (საკდესი). ლატვიის სსრ სკოლებში დამთავრდა პირველი საბჭოთა სასწავლო წელი. საგაზაფხულო გამოცდებმა გვიჩვენეს მოსწავლეთა კარგი ცოდნა, მათი უდიდესი ინტერესი მათთვის ახალი დისციპლინებისადმი, განსაკუთრებით სსრ კავშირის კონსტიტუციისადმი. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სწავ-... წავლეთა რიცხვი ყველა საერთოსაგანმანათლებლო სკოლაში 30 ათასზე მეტით გაიზარდა. ძირიანად შეიცვალა სკოლების მუშაობის შინაარსი. ბევრად გადიდდა მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და ისტორიის გაკვეთილთა რაოდენობა. საყოველთაო-სავალდებულო სწავლება კანონად იქცა. ამჟამად სოფლად შენდება 20 ახალი სკოლა ...

... მლია ვთქვათ, რომ საბჭოთა ლატვიის მასწავლებლებმა განვლილი სასწავლო წლის მანძილზე ბევრი რამ გააკეთეს და უკვე მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიეს.

ბურჟუაზიული ლატვიის მთავრობა ფორმალურად აცხადებდა სავალდებულო 6-კლასიან სწავლებას, მაგრამ არ ახორციელებდა მას. მშრომელთა ათეული ათასობით შვილები სკოლის გარეთ რჩებოდნენ. ძირითად სკოლას ბავშვების მხოლოდ ერთი მესამედი ამთავრებდა, დანარჩენები კი იძულებული იყვნენ სწავლა 2-4 კლასის შემდეგ მიეტოვებინათ. ოფიციალური, მაშასადამე, მნიშვნელოვნად შემცირებული ცნობებითაც კი ლატვიის მოსახლეობის 11-ზე მეტმა პროცენტმა წერა-კითხვა არ იცოდა, ხოლო ლატგალიაში წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა 28 პროცენტს აღწევდა. პლუტოკრატიული რეჟიმის უკანასკნელი წლების განმავლობაში სკოლებისა და მოსწავლეთა რიცხვი არა თუ არ მატუ-... თან შედარებით, შემცირდა 91-ით, მოსწავლეთა რაოდენობა — 5.128 კაცით მასწავლებლებისა — 334 კაცით.

ახალ ლატვიაში უკვე პირველი საბჭოთა სასწავლო წლიდან მოს-... სკოლა.

მოსწავლე ახალგაზრდობა თავის საზაფხულო არდადეგებს ისე საინტერესოდ და მხიარულად ატარებს, როგორც არასოდეს არა ყოფილა. ლატვიის 15 ათასამდე მოსწავლე პიონერთა ბანაკებში იქნება.

ბევრი მათგანი, ვინც საშუალო სკოლა და შვიდი კლასი დაამთავრა, ემზადება უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში შესასვლელად. 5.200 კაცი შევა შრომითი რეზერვების სამმართველოს მიერ მოწყობილ სკოლებში. ლატვიის სსრ უმაღლესი სასწავლებლები წელს 2.260 ახალ სტუდენტს მიიღებენ. ეს ცოტა არ არის, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ წელს საშუალო სკოლას 2.500 კაცი ამთავრებს. სახელმწიფო უნივერსიტეტთან და სასოფლო-სამეურნეო აკადემიასთან ელგავაში მოწყობილია უმაღლეს სასწავლებელთათვის მომზადების კურსები. გარდა ამისა, უმაღლეს სასწავლებლებში შევა ეგ-... გაზრდობა, რომელიც სწავლას საწარმოო მუშაობასთან ათავსებს. საუკეთესო საბჭოთა უმაღლესი სასწავლებლების მსგავსად, ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გუშინ მოაწყო „ღია კარების დღე“.

გადასაყვანი გამოცდები სახელოსნო და სარკინიგზო სასწავლებლებში

1 აგვისტოს სახელოსნო და სარკინიგზო სასწავლებლებში მთავრდება პირველი სასწავლო წელი.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველოს უფროსმა ამხ. პ. გ. მოსკატოვმა გუშინ გასცა ბრძანება სახელოსნო და სარკინიგზო სასწავლებლებში მოსწავლეთა გადასაყვანი საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების შე-...

... უზრუნველყოფილ იქნეს ... ინსტრუმენტისა და ტექნიკური დოკუმენტაციის დამზადება, აგრეთვე მოაწყონ ინსტრუქტაჟი იმ ტექნიკური მოთხოვნების საკითხზე, რომლებსაც მოსწავლისათვის დანიშნულ სამუშაოს უყენებენ. ის მოსწავლეები, რომლებიც საწარმოო სწავლებას საწარმოთა საამქროებში გადიან, გამოცდებს უშუალოდ წარმოებაში აბარებენ.

... მათ. ამ მიზნით, სასწავლებელთა დირექტორები მოვალენი არიან ... გადასაყვანი გამოცდების შედეგებს. (საკდესი).

ხალხთა სტალინური მეგობრობის ნიშნით

მოსკოვი (საკ. კორ.). „კომუნისტის“ მკითხველნი უკვე იცნობენ მოსკოვის ოლქის ორ კოლმეურნეობას, რომლებშიც თვით კოლმეურნეობის წევრთა ინიციატივით და ადგილობრივი ძალებით დაიწყო ჩვენი სამშობლოს ისტორიის, გეოგრაფიისა და ეკონომიკის შესწავლა. კოლმეურნეობა „მებოსტნეობის გიგანტში“ და ჩერიომუშკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ეს შესწავლა საქართველოს სს რესპუბლიკიდან დაიწყო.

ამ ორი კოლმეურნეობის მაგალითს ახლა მოსკოვის ოლქის ლენინის რაიონის სოფელ მოლოკოვის ... კავშირის გმირი ვ. ს. მოლოკოვი. მდებარეობს ლამაზ ადგილას — კალუგის გზის იქით, მოსკოვიდან 40 კილომეტრის მანძილზე. იგი თვალს ახარებს თავისი კოხტა ქუჩებითა და სახლებით, აგრეთვე ყოველი სახლის წინ გაშენებული პატარა ბაღებით, სადაც დარგულია ნორჩი ხეხილი. კოლმეურნეობას აქვს 523 ჰექტარი მიწა, ხეხილის ბაღი, კარგად დაყენებული სასათბურო მეურნეობა, მოწყობილი სარძეო ფერმა, სადაც თითო საფურაჟე ძროხაზე წლიწადში 3.100 ლიტრ რძეს იღებს.

კოლმეურნეობა ამაყობს თავისი კლუბით, სადაც უკვე დიდიხანია მუშაობენ გუნდი და დრამატიული წრე, ხოლო შარშანდლიდან ქართული სიმღერისა და ცეკვის თავისებური ანსამბლიც, რომელიც 35 კაცისაგან შესდგება და საკმაოდ ფართო რეპერტუარი აქვს. ამ ანსამბლის მონაწილენი აღფრთო-...

... სწორედ ამ კლუბთან მოწყობილი ჩვენი სამშობლოს შემსწავლელი წრე. გადაწყვეტილია ეს შესწავლა დაიწყონ საქართველოს სს რესპუბლიკიდან. კლუბის აქტივისტთა კრებამ, რომელთა რიცხვში კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ბუქშანსკიც შედის, გადაწყვიტა ჩატარდეს მოხსენებები საქართველოზე, გაანაწილა თემები, შეადგინა მუშაობის კალენდარული გეგმა. ეს გეგმა ითვალისწინებს ამხანაგ სტალინის ცხოვრებასთან და საქართველოში მის რევოლუციურ მოღვაწეობასთან დაკავშირებულ მოხსენებებს, მოხსენებებს კოლხიდასა და სვანეთზე, ჩაის ...

... კოვში — სსრ კავშირის ხალხთა მუზეუმში და, რა თქმა უნდა, სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, საქართველოს სსრ პავილიონში.

ამ საქმეს მხურვალედ მოეკიდა ხელი კედლის გაზეთმა „კოლხოზნიკ მოლოკოვცევ“, რომელიც სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეა. ამ საქმით სოფლის საშუალო სკოლის მოწაფეებიც დაინტერესდნენ. გამოცდების დამთავრებისთანავე კლასის ხელმძღვანელის ამხ. გოლუბევის დახმარებით მათ მოაწყეს თავისი წრე სამშობლოს შესასწავლად. ახლა ისინიც ემზადებიან მოსკოვში სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე წასასვლელად, და აღტაცებით ლაპარაკობენ, რომ დაათვალიერებენ საქართველოს სსრ პავილიონს და მის საუცხოო ორან-...

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში

23 და 24 ივნისს შესდგება საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილების სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნება ბოტანიკურ მეცნიერებათა საკითხებს. სესიის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ სამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები.

სესია მოისმენს გ. მენაბდის მოხსენებას: „საქართველოს ხორბლეული და მისი ადგილი ხორბლეულის სისტემაში“ და მ. სახოკიას მოხსენებას: „აღმოსავლეთ საქართველოს ზამთრის საძოვრების მცენარეულობა, როგორც ბუნებრივი საკვები ბაზა“.

სესიას უხელმძღვანელებს აკადემიის მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარე აკადემიკოსი ა. ჯანელიძე. სხდომები იწარმოებს საქართველოს მუზეუმის სალექციო დარბაზში (ფურცელაძის ქ. № 1) საღამოს 8 საათიდან.

საშვები ბარათები გაიცემა იქვე.

ჩაის ფოთლის დამზადება

„საქჩაის“ 20 ივნისის ცნობებით

რაიონები	დამზადებულია სულ ჩაის ფოთოლი ტონობით	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	ივნისის გეგმის შესრულება პროცენტობით
ბათუმი	701,9	33,2	42,4
ქობულეთი	3.163,7	35,2	64,6
გალი	1.786,9	39,9	54,3
ოჩამჩირე	1.015,4	38,6	54
სოხუმი	45,9	45,9	61,2
გუდაუთი	73,2	36,6	46,2
მახარაძე	3.996,1	31,8	55,7
ჩოხატაური	549	33,7	78,7
ლანჩხუთი	1.179,2	29,5	48
სამტრედია	126,2	36,1	73,3
წულუკიძე	741,7	33,7	40,1
ქუთაისი	1000,1	35,8	36,7
წყალტუბო	250,9	32,2	31,4
ტყიბული	285,5	35,2	65,9
ცხაკაია	519,9	36,6	47,5
გეგეჭკორი	1.055,8	29,2	30,1
ზუგდიდი	2.715,7	40,5	61,6
წალენჯიხა	972,3	42,6	77,2
ჩხოროწყუ	722,9	32,3	41,3
ხობი	208,8	32,1	43,3
სულ რესპუბლიკაში	20.211,1	34,8	55
იყო 1940 წ. 20/VI	15.679,3	30,7	71,9

ივნისის პირველ ხუთდღიურში დამზადდა 805,4 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, მეორე ხუთდღიურში—1705,5 ტონა, მესამეში—1.557 ტონა, მეოთხეში კი — 1.276,7 ტონა ჩაის ფოთოლი.

უკანასკნელი ცნობები

საომარი მოქმედება სირიაში

ვიში, 21 ივნისი (საკდესი). როგორც საფრანგეთის სამხედრო წრეებში აცხადებენ, ინგლისის ფლოტი კვლავ გამოჩნდა სირიის სანაპიროსთან. ინგლისელთა ჯარი დამასკოზე შეტევას განაგრძობს. მან წინ წაწევა შესძლო, და 20 ივნისს დილით ინგლისელთა ჯარის მოწინავე ნაწილები მიუახლოვდნენ გუტახის ოაზისს, რომლის ცენტრშიც დამასკო მდებარეობს. საფრანგეთის ჯარის ნაწილები შეტევას განაგრძობენ იზრის რაიონში და ცდილობენ ხელი შეუშალონ ინგლისელთა შეტევას დამასკოზე.

ლონდონი, 21 ივნისი (საკდესი). ჰავასის-ოფის სააგენტო გადმოგვცემს, რომ სირიისა და ლიბანის ფრონტის ყველა ...

... მერჯაიუნის ქუჩებსა და სახლებში ხელჩართული ბრძოლაა ავსტრალიელთა და ფრანგთა ჯარებს შორის, ამასთანავე ნახევარი ქალაქი ინგლისელთა ძალების ხელშია, ნახევარი კი — ფრანგების ხელში.

ნიუ-იორკი, 21 ივნისი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისელთა და დე გოლის არტილერია უკვე ტყვიას უშენს დამასკოს.

ინგლისელთა ჯარმა დაიკავა ელ-მეზის აეროდრომი, რომელიც დამასკოს მიდამოებში მდებარეობს.

ასოშიეიტიდ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ინგლისელთა ჯარმა ...

გერმანიის სარდლობის ცნობა

ბერლინი, 21 ივნისი (საკდესი). გერმანიის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი სარდლობის ცნობაში ნათქვამია, რომ ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში გერმანიის წყალქვეშა ნავებმა ჩაძირეს სავაჭრო ხომალდები და ერთი მაშველი კრეისერი 52.900 სარეგისტრო ბრუტო-ტონა საერთო წყალწყვისა. გუშინ და წუხელ გერმანიის თვითმფრინავებმა წარმატებით მიიტანეს იერიში ხომალდებზე ჰამბერის ყურეში და ჩაძირეს სატვირთო ხომალდი 6 ათასი ტონა წყალწყვისა. ავიაცია თავს დაესხა ...

მეტი ყურადღება მომხმარებელთა კანონიერ მოთხოვნებს

„თბილვაჭრობის“ პასაჟი ერთ-ერთი კულტურული მაღაზიაა თბილისში. მას ბევრი მომხმარებელი ჰყავს. პასაჟის მომსახურე აპარატზე მაინცდამაინც ცუდს ვერაფერს ვიტყვით, მომხმარებლებს თავაზიანად ეპყრობა. და მიუხედავად ამისა მომხმარებლები ყოველთვის კმაყოფილი არ არიან პასაჟის მუშაობით.

რატომ?

ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხი გასცა მომხმარებელთა კონფერენციამ, რომელიც ამ დღეებში შესდგა პასაჟის შენობაში.

მომხსენებელმა, პასაჟის კომერციულმა დირექტორმა ამხ. მურადოვმა აღნიშნა, რომ პასაჟმა მიმდინარე წლის 5 თვის საქონელბრუნვის გეგმა 98,8 პროცენტით შეასრულა. ეს ჩამორჩენა საქონლის ნაკლებობით როდი აიხსნება. პირიქით, პასაჟში საქონლის ნაშთი ყოველთვის მეტია გეგმით გათვალისწინებულზე. მაგალითად, მარტო საგალანტერიო განყოფილებაში ამჟამად საქონლის ნაშთი ნაცვლად 360 ათასისა 442 ათას მანეთისას შეადგენს.

— რატომ ხშირად არა გაქვთ აბრეშუმის ზოლებიანი ქსოვილები? უახლესი სახის რადიომიმღებები? ბავშვთა სხვადასხვა ზომის ფეხსაცმელი? ქალის ჩუსტები? სპეცხალათები? სანდლები ზამთარში გქონდათ, ზაფხულში რატომ არა გაქვთ?...

მომხმარებელთა ზემოაღნიშნულ და სხვა შეკითხვებს პასუხი გასცა პასაჟის დირექტორმა ამხ. მელუამმან ილაპარაკა იმაზე, რომ მსუბუქი, ადგილობრივი და საფეიქრო მრეწველობის საწარმოები, სავაჭრო ორგანიზაციები დღემდე ნაკლებად სწავლობენ მომხმარებელთა მოთხოვნებს, სათანადო ყურადღებას არ უთმობენ სეზონურობის, ასორტიმენტის და სხვ. საკითხებს, რის გამოც მომხმარებლები ზოგჯერ უკმაყოფილონი გადიან მაღაზიიდან, ვერ ყიდულობენ ზაფხულში საჭირო, სხვადასხვა ზომისა და ასორტიმენტის ტანსაცმელს, ფეხსაცმელს და სხვ.

მომხმარებელმა კორძაიამ სამართლიანად უსაყვედურა პასაჟის მუშაკებს იმაზე, რომ განყოფილებებში ხშირად ერთი ზომის შარვლები, კაბები ან ფეხსაცმელი გამოაქვთ. მომხმარებელთაგან ზოგი დაბალია და ზოგი მაღალი, ზოგი გამხდარი და ზოგი მსუქანი, ზოგი მოხუცი და ზოგი ახალგაზრდა, თვითეულს თავისებური მოთხოვნა და გემოვნება აქვს, ვაჭრობისა და მრეწველობის მუშაკებმაც ამ მრავალფეროვნებას ანგარიში უნდა გაუწიონ, თავიანთი გეგმები ამ მოთხოვნათა საფუძველზე უნდა ააგონ.

ამხ. მანუკოვმა გაიმეორა მომხსენებლის მიერ თქმული, რომ მაღაზიაში 45 ათასი მანეთის ღილები აწყვია და დასძინა, რომ მიუხედავად ასეთი სიმრავლისა, მამაკაცის ტანსაცმლისათვის განსაკუთრებით ზაფხულში საჭირო ღილები მაღაზიას არ მოეპოვება. ამხ. მნაცაკანოვმა საყვედური გამოსთქვა იმაზე, რომ საზაფხულო, ქსოვილისსაპირიანი ტუფლები, რომლებიც მაღაზიაში იყიდება, ყოველთვის არ არის მსუბუქი და ლამაზი.

მომხმარებელმა ამხ. შათირიშვილმა პასაჟის დირექციის წინაშე დააყენა შემდეგი საკითხი — მაღაზიაში საქონელი გამოტანილ იქნას როგორც დილით, ისე საღამოთი, რათა საწარმოების როგორც პირველი ცვლის, ისე მეორე ცვლის მუშებს საშუალება ჰქონდეთ შეიძინონ საჭირო საქონელი. მანვე სთხოვა ვაჭრობისა და მრეწველობის მუშაკებს, რომლებიც კონფერენციას ესწრებოდნენ, მაღაზიაში უფრო მეტად გამოიტანონ მუქი ფერის ქსოვილები, საქართველოში ასეთი ფერი გვიყვარს, უცნაურად აჭრელებული აბრეშუმის ქსოვილები ბლომად აწყვია თაროებზე, მაგრამ ნაკლებად იყიდება. თბილისის სპილენძსატკეცი ქარხნის მუშამ ამხ. ახობაძემ შეიტანა წინადადება — დახლის მუშაკებმა ყოველდღიურად ჩაინიშნონ ის საქონელი, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა, და ამის საფუძველზე წარუდგინონ მოთხოვნები საწარმოებს და მომმარაგებელ ორგანიზაციებს.

კონფერენციის დამსწრე საწარმოო ორგანიზაციების წარმომადგენლებიდან ამხ. ლომთაძემ აღნიშნა, რომ სატრიკოტაჟო საწარმოების მესამე კვარტალის გეგმა შედგენილია სწორედ მომხმარებელთა მოთხოვნების გათვალისწინებით და მომავალში საწარმოების, სავაჭრო ორგანიზაციების და მომხმარებლების მჭიდროდ დაკავშირება, ურთიერთ შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლა საშუალებას მოგვცემს კიდევ უკეთესი მომსახურება გავუწიოთ საბჭოთა მომხმარებლებსო.

კამათში სულ 15 კაცი გამოვიდა, ყველამ საყურადღებო საკითხი დასვა, კანონიერი მოთხოვნა წამოაყენა. ამ მოთხოვნების გათვალისწინებით წარმართავს პასაჟი თავის მუშაობას. მხოლოდ „თბილვაჭრობის“ ხელმძღვანელობამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს პასაჟის მომარაგების საკითხებს.

ნახევარი წლის გეგმა ვადამდე შეასრულეს

ლენინის სახელობის მაღარო

ტყიბული („კომუნისტის“ კორ.). ტყიბულქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროს მუშათა კოლექტივი ბოლშევიკურად ანაღდებს მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. 20 ივნისისათვის, ღამის ცვლაში მაღარომ მთლიანად შეასრულა ნახევარი წლის გეგმა.

ქვანახშირის ამოღების გეგმის შესრულებაში თავი ისახელეს მნგრეველებმა და ამწმენდებმა ორდენოსანმა ლავრენტი ცქიფურიშვილმა, მედალოსანმა სერგო სიჩოვმა, ისმაილ გვენეტაძემ, დავით ერაძემ, არკადი გაბადაძემ და სხვებმა. ისინი ყოველდღიურ ნორმებს 200 - 300 პროცენტით ასრულებენ.

დ. საბელაშვილი

დიმიტროვის სახელობის მაღარო

ჭიათურა (ტელეგრაფით „კომუნისტის“ კორ.). 21 ივნისს დღის 12 საათისათვის მარგანტრესტის დიმიტროვის სახელობის მაღაროს (დირექტორი—კ. ზამთარაძე, პარტბიუროს მდივანი — პ. მარგველაშვილი) მუშათა კოლექტივმა მთლიანად შეასრულა მარგანეცის ამოღების ნახევარი წლის გეგმა, მაღაროს პირველმა და მესამე უბანმა (გამგეები — სახვაძე და გამცემლიძე) კი — 114 პროცენტით. მაღაროს 50 მოწინავე სტახანოველმა ნახევარი წლის საწარმოო დავალება 150 პროცენტით შეასრულა. მათ შორის ამწმენდმა კ. ღავთაძემ, ს. სადუნიშვილმა და ი. მჭედლიძემ ხუთნახევარ თვეში მთელი წლის გეგმა შეასრულეს.

ლ. ლოლაძე

სოციალისტური შეჯიბრება მაღალი მოსავლისათვის

შევასრულოთ სოცშეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი

სიღნაღი („კომუნისტის“ სპეც. კორ.). სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებს წელს აღებული აქვთ ვალდებულება საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი 13 ცენტნერი, სიმინდი—35, ყურძენი — 85 ცენტნერი და სხვ.

კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ პარტიისა და მთავრობის 1941 წლის 13 მარტის დადგენილების საფუძველზე ფართოდ გაშლილი სოცშეჯიბრებით, რგოლების მოწყობითა და შრომის დისციპლინის განმტკიცებით, მოწინავე აგროწესების დანერგვით და სხვ. რაიონის კოლმეურნეობებში ქერის საშუალო მოსავალი ზოგან 15 ცენტნერს აჭარბებს. მაგალითად, სოფ. საქობოს კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობაში 28 ჰექტარზე საშუალოდ უკვე მიიღეს 23,5 ცენტნერი ქერი, სოფ. ქვემომაჩხაანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში 75 ჰექტარზე საშუალოდ — 19 ცენტნერი, სოფ. საქობოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში 11 ჰექტარზე — 20 ცენტნერი, სოფ. ანაგის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობაში 22 ჰექტარზე — 21,8 ცენტნერი და სხვ.

რაიონში ხშირია ისეთი კოლმეურნეობები, სადაც ნათესები სამჯერ გამარგლეს, მაგალითად, სოფ. მაღაროს კოლმეურნეობა „შრომაში“. აქ „შეძენილის“ ფართობზე პურეული და მზესუმზირა საუკეთესო სანახავია. ასეთივე კარგი მოვლილია პურეულის, სიმინდის და მზესუმზირას ნათესები სოფ. ნუკრიანის პარიზის კომუნის სახელობის, ამავე სოფლის სტალინის სახელობის და რაიონის ბევრ სხვა კოლმეურნეობაში. სოფ. მაჩხაანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში სიმინდი 23 ჰექტარზე წელს უკვე გათოხნილია ორჯერ, ამავე ფართობზე ჩატარებულია კულტივაცია სამჯერ და სხვ.

საერთოდ, კარგი მუშაობის მაგალითები სიღნაღის რაიონში ხშირია როგორც მარცვლეულის, ისე მევენახეობის, მეცხოველეობის და სხვა დარგებში.

მაგრამ ყველა კოლმეურნეობა როდი ასრულებს მასზე დაკისრებულ ამოცანებს, ყველგან ზუსტად არ იცავენ აგროწესებს, აღმოფხვრილი არ არის გაცდენები და სხვ. სოფ. ტიბაანის კოლმეურნეობა „მაისის წყაროში“ (თავმჯდომარე — ვ. ბალიაშვილი) წელს პური და ქერი არ გაუმარგლავთ 65 ჰექტარზე, სიმინდი 23 ჰექტარზე გათოხნილია მხოლოდ ერთხელ, მზესუმზირის 16 ჰექტარ ფართობზე კი ჩატარებულია მხოლოდ კულტივაცია. სოფ. მაჩხაანის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — ა. ჯანყარაშვილი) პური და ქერი წელს სრულიად არ გამარგლილა 49 ჰექტარზე, ხოლო სიმინდი — 30 ჰექტარზე. ამავე კოლმეურნეობაში აჭიანურებენ თამბაქოს პლანტაციების თოხნას. თამბაქოს თოხნას სხვა კოლმეურნეობებშიც აგვიანებენ.

ავიღოთ მოსავლის გადიდების ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, როგორიც არის ფართობებში ნაკელის გატანა. წელს მარტო გაზაფხულზე სიღნაღის რაიონში მინდვრად უნდა გატანილიყო 20.000 ტონა ნაკელი, ფაქტიურად გატანილ იქნა მხოლოდ 11.250 ტონა. 46 კოლმეურნეობიდან გეგმა შეასრულა მხოლოდ 11 კოლმეურნეობამ. სოფ. ანაგის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ზ. მირიანაშვილი) 200 ტონიდან გატანილია მხოლოდ 8 ტონა ნაკელი. ამავე სოფლის კოლმეურნეობა „შრომაში“ (თავმჯდომარე ლ. მახაშვილი) 250 ტონიდან — 8 ტონა და სხვ.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჩამორჩენაა ვაზის შეწამვლის და სხვა სამუშაოებში.

სოცშეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება გვიკარნახებს გეგმები შევასრულოთ ყველა დარგში, ყველა უბანზე, ბრიგადასა და რგოლში. ეს ნიშნავს — დაჩქარებით გამოვასწოროთ ჩამორჩენა და უახლოეს დღეებში მივაღწიოთ საერთო წარმატებას.

ტრ. თოდრაძე

მაჩხვარეთის კოლმეურნეობაში სუბტროპიკულ ნარგავებს არ უვლიან

ლანჩხუთი („კომუნისტის“ კორ.). სოფ. მაჩხვარეთის კოლმეურნეობის გამგეობა უპასუხისმგებლოდ ეკიდება ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურების მოვლას. ეგრეთწოდებულ — ყურეს ნაკვეთში 1.500 კვადრატული მეტრი ჩაის პლანტაცია სარეველა ბალახებით არის დაფარული. ასევე მოუვლელად არის მიტოვებული ჯიშკრიანის, მანტკელის, ლელვნარის, ნაბელლარის და სხვა ნაკვეთებზე გაშენებული 8.600 კვადრატული მეტრი ჩაის პლანტაციები. ზოგიერთი ნაკვეთი ისეა დაფარული ეკალ-ბარდით, რომ ჩაის ფოთლის კრეფას ვერ ახერხებენ.

1938 წელს მაჩხვარეთის კოლმეურნეობამ 0,2 ჰექტარი ფეიხოია გააშენა. გაშენების მეორე წელს მხოლოდ ერთხელ ჩაჩხეს პლანტაციაში ამოსული ბუჩქნარი, მას შემდეგ კი ამ ძვირფას მცენარეთა პლანტაცია უყურადღებოდ მიატოვეს და მოუვლელობით გაანადგურეს.

ჯიშკრიანის ფართობის ახლოს 1939 წელს კოლმეურნეობამ მანდარინი დარგო. მანდარინი ამჟამად ტყის მცენარეებით არის დაფარული. 2 წელია უყურადღებოდ არის მიტოვებული აგრეთვე ლელვნარში 0,5 ჰექტარზე გაშენებული ლიმონი და 0,3 ჰექტარი მანდარინი.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის ვ. ქურიძის, აგრონომ ტ. კვაჭაძის და აგროტექნიკოს თ. ჭყონიას შეუწყნარებელ უდარდელობას ისიც ადასტურებს, რომ ჯვარისხედის ნაკვეთზე გასული წლის შემოდგომაზე შეფუთული 207 ძირი მანდარინის ხე ივნისში შეხსნეს. შეხსნის დაგვიანებამ ნარგავთა დაზიანება გამოიწვია.

მოუვლელია 1938 წელს გაშენებული დაფნის ნარგავები. არც სიმინდის დამუშავებას აქცევენ ჯეროვან ყურადღებას, ყანები შეუღლობავია და შიგ პირუტყვი თავისუფლად დადის.

ამ დანაშაულებრივი უყურადღებობისათვის სოფ. მაჩხვარეთის კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ პასუხი უნდა აგოს.

ვ. მექვაბიშვილი

მოსავლის აღება დაიწყო

მცხეთა („კომუნისტის“ კორ.). წეროვნის, ნატახტრისა და მუხრანის სასოფლო საბჭოებში დაიწყო კომბაინებით ქერის აღება.

სოფ. ჩარდახის „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობა, სადაც წეროვნის მტს-ის კომბაინერი გ. ჩუმაკოვი მუშაობს, ჰექტარზე საშუალოდ 10-11 ცენტნერ ქერს იღებს. კარგი მოსავალია აგრეთვე სოფ. ნატახტრის ორჯონიკიძის სახელობის, სოფ. ძველი ქანდის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობებში და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსავლის აღების პირველ დღეებში ადგილი ჰქონდა დანაკარგებს. მაგალითად წეროვნის მტს-ის კომბაინერი გ. მერებაშვილი, რომელიც წეროვნის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ნაკვეთში მუშაობდა, დიდი რაოდენობით სტოვებდა ნამჯაში მარცვალს.

დ. რთველიაშვილი

სამხრეთ-ოსეთი. კეხვის არხის მშენებლობა. სურათზე: პირველი უბნის მოწინავენი, სოფ. კურტას კოლმეურნეობის „წითელი სხივის“ კოლმეურნეები (მარცხნიდან) გ. ელბაქიძე, ს. ელბაქიძე, გ. კოჩიაშვილი.

ფოტო გ. გინზბურგისა.

ინგლის-გერმანიის ომი

ბერლინი, 20 ივნისი (საკდესი). უმაღლესი სარდლობა იუწყება: ინგლისის წყლებში გერმანიის ყუმბარმშენებმა ჩასძირეს 2 ათასი ტონა წყალწყვის სავაჭრო გემი და სერიოზულად დაზიანეს 3 სხვა დიდი სავაჭრო გემი. შორი მოქმედების ერთმა თვითმფრინავმა კადისის დასავლეთით 1.100 კილომეტრზე ჩასძირა სავაჭრო გემი 3.500 სარეგისტრო ბრუტო-ტონა წყალწყვისა. ღამით გერმანიის ყუმბარმშენებმა იერიში მიიტანეს გრეიტ-იარმუტის სანავსადგურო ნაგებობებსა და სამხრეთ-ინგლისში მდებარე ერთ აეროდრომზე.

წუხელ მტრის თვითმფრინავებმა რამდენიმე ფუგასური და ცეცხლგამჩენი ყუმბარა დაჰყარეს ზოგიერთ დასახლებულ პუნქტს დასავლეთ გერმანიაში. დაზიანებულია რამდენიმე სახლი. ამასთან ჩამოგდებულია მტრის 3 ყუმბარმშენი.

ბერლინი, 20 ივნისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება: „გუშინ, საღამოს, ინგლისის ბრისტოლის ტიპის 3 თვითმფრინავი „ბლენჰეიმი“ 20-ზე მეტი ავიაგამანადგურებლის თანხლებით ცდილობდა იერიში მიეტანა გერმანიის გემების ქარავანზე ლა-მანშის სანაპიროსთან. გერმანიის თვითმფრინავებმა, რომლებიც ქარავანს ბადრაგობდნენ, აიძულეს მტრის ავიაცია უკან გაბრუნებულიყო. ქარავანმა უვნებლად განაგრძო გზა.

ლონდონი, 20 ივნისი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ ჩრდილოეთ საფრანგეთზე გუშინდელი თავდასხმის დროს ინგლისის ყუმბარმშენები, რომლებიც დიდძალი ავიაგამანადგურებლის თანხლებით მიფრინავდნენ, სრულიად უმნიშვნელო წინააღმდეგობას წააწყდნენ. ჰავრის დოკების ბომბარდირების დროს აღნიშნულია, რომ გემთმისადგომებსა და ნავთსაცავებში აფეთქება მოხდა. „სპიტფაირის“ ტიპის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს მტრის სატვირთო გემს, რომელიც საესკადრო ნაღმოსნების ბადრაგობით მიდიოდა საფრანგეთის სანაპიროს მახლობლად.

19 ივნისს, ღამით, ინგლისის ყუმბარმშენებმა კვლავ დაჰყარეს ყუმბარა კელნისა და დიუსელდორფის სამრეწველო ობიექტებს. 19 ივნისს, ღამით, გერმანიის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა ერთმანეთისაგან ძალიან დაშორებით მდებარე პუნქტებს ინგლისში. მიყენებულია ერთგვარი მატერიალური ზარალი. არის მსხვერპლი მოსახლეობაში.

ნიუ-იორკი, 20 ივნისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, პორტუგალიის გემმა გადაარჩინა ინგლისის გემის „იმპაირ უორიორის“ ეკიპაჟის 25 წევრი. ეს გემი, რომლის წყალწყვა 1.300 ტონას უდრიდა, დღეს ჩასძირეს პორტუგალიის სანაპიროს მახლობლად.

გაზეთ „სეკულოს“ ცნობით, ინგლისის თვითმფრინავმა მოსპო გერმანიის წყალქვეშა ნავი, რომელიც თავს დაესხა ხუთი გემისაგან შემდგარ ქარავანს. სწორედ ამ ქარავანში შედიოდა გემი „იმპაირ უორიორი“.

ბერლინი, 20 ივნისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ცნობით, საჰაერო ბრძოლაში, რაც 17 და 18 ივნისს სწარმოებდა ლა-მანშზე, გერმანიის თვითმფრინავებმა ჩამოაგდეს ინგლისის 34 თვითმფრინავი. გერმანიის ორი თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა. სინამდვილეს არ შეესაბამება ინგლისის ცნობა იმის შესახებ, რომ ინგლისის 14 თვითმფრინავი არ დაბრუნებულა თავის ბაზაში და რომ ჩამოგდებულ იქნა გერმანიის 25 თვითმფრინავი.

ინგლისის ცნობები მეომარ სახელმწიფოთა ფლოტების დანაკლისის შესახებ

ლონდონი, 20 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ მაისში მტრის მოქმედების შედეგად ჩაძირულ იქნა 461 ათასი სარეგისტრო ბრუტო - ტონა საერთო წყალწყვის 98 გემი. აქედან 355 ათასი სარეგისტრო ბრუტო-ტონა წყალწყვის 73 გემი ინგლისს ეკუთვნოდა, 92 ათასი სარეგისტრო ბრუტო-ტონა წყალწყვის 20 გემი — ინგლისის მოკავშირეებს და 14 ათასი სარეგისტრო ბრუტო-ტონა წყალწყვის 5 გემი— ნეიტრალურ ქვეყნებს.

ინგლისის ცნობებით, გერმანიის ფლოტის საერთო დანაკლისი 10 ივნისისთვის შეადგენს 1.888 ათას სარეგისტრო ბრუტო-ტონას, იტალიის ფლოტისა — 1.239 ათას სარეგისტრო ბრუტო-ტონას. გარდა ამისა, ჩაძირულ იქნა მტრის მიერ დაფრახტული რამდენიმე გემი, რომელთა წყალწყვა 84 ათას სარეგისტრო ბრუტო-ტონას უდრის. ამრიგად, მტრის საერთო დანაკლისი 10 ივნისისთვის შეადგენს 3.211 ათას სარეგისტრო ბრუტო-ტონას. ლონდონის ავტორიტეტულ წრეებში აცხადებენ, რომ ინგლისის ფლოტის დანაკლისის საგრძნობი ზრდა მაისში აიხსნება ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში წარმოებული საომარი მოქმედებით. მიუხედავად ამისა, დასძენს სააგენტო, ყველაზე სერიოზული ზარალი ინგლისის სავაჭრო ფლოტს ჩრდილოეთ ატლანტიკაში ჰქონდა.

გერმანიის ცნობები ინგლისისა და გერმანიის ავიაციის დანაკლისის შესახებ

ბერლინი, 20 ივნისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ცნობით, 15-დან 18 ივნისამდე გააფთრებული საჰაერო ბრძოლის დროს ინგლისის ავიაციამ დაჰკარგა 96 თვითმფრინავი. ამავე ხნის განმავლობაში გერმანიის ავიაციის დანაკლისი შეადგენს 12 თვითმფრინავს. ინგლისის ცნობებით, ინგლისის ავიაციის დანაკლისი ამ ხნის განმავლობაში 38 თვითმფრინავს შეადგენს.

მალტაზე თავდასხმა

ბერლინი, 20 ივნისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ცნობით, გერმანიისა და იტალიის თვითმფრინავები რამდენიმე ლამის განმავლობაში წარმატებით უშინდნენ ყუმბარას კუნძულ მალტის აეროდრომებს.

ამერიკისა და კანადის თვითმფრინავებით ინგლისის გემების ბადრაგობის გეგმა

ნიუ-იორკი, 20 ივნისი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, მთავრობის კარგად ინფორმირებულ წრეებში განაცხადეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და კანადა იხილავენ გეგმას, რომლის მიხედვითაც ამერიკის შეერთებული შტატების ჰიდროთვითმფრინავები ინგლისის გემებს უბადრაგებენ ატლანტის ოკეანის შუაგულამდი, საიდანაც მათ შემდეგ ინგლისის თვითმფრინავები უბადრაგებენ. ბადრაგობაში კანადის ავიაციაც მიიღებს მონაწილეობას. როგორც აღნიშნავენ, ეს გეგმა ითვალისწინებს ინგლისისა და ისლანდიის ბაზების, აგრეთვე ამერიკის სანაპიროზე მდებარე ბაზების გამოყენებას. ზოგიერთი ოფიციალური პირის აზრით, ეს გეგმა უკვე ხორციელდება. საავიაციო წრეების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გეგმა ითვალისწინებს სავაჭრო გემების სრულ დაცვას დღისით, აგრეთვე „მნიშვნელოვნად“ დაცვას ღამით.

გამარჯვების ექვსი სტალინური პირობა

(ათი წლისთავი ი. ბ. სტალინის სიტყვისა — „ახალი ვითარება — სამეურნეო მშენებლობის ახალი ამოცანები“)

პირველი ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წელიწადი მიმდინარეობდა. მთელი ჩვენი ქვეყნის ყურადღება მიპყრობილი იყო მრეწველობის, განსაკუთრებით მძიმე მრეწველობის მუშაობისაკენ, რომელზედაც დამოკიდებული იყო სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ტექნიკური რეკონსტრუქცია. მომქმედ საწარმოთა მწყობრში ერთიმეორის მიყოლებით დგებოდნენ გიგანტი ქარხნები, დიდი შახტები, მაღაროები, ელექტროსადგურები. ისტორიაში უმაგალითო ტემპებით სწარმოებდა მსხვილი ინდუსტრიის — სოციალიზმის მატერიალური ბაზის განვითარება. ეს იყო დიადი ბრძოლა კაპიტალისტური გარემოცვისაგან სსრ კავშირის სამეურნეო დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

ახალ ვითარებაში მუშათა კლასისა და ბოლშევიკური პარტიის წინაშე ახლებურად დგებოდა სამეურნეო ხელმძღვანელობის, ჩვენი ინდუსტრიის შემდგომი მშენებლობის საკითხები. ახალი ვითარება სამეურნეო მშენებლობის ხელმძღვანელობის ახალ ხერხებსა და მეთოდებს მოითხოვდა.

1931 წლის 23 ივნისს ამხანაგი სტალინი სამეურნეო მუშაკთა თათბირზე გამოვიდა შესანიშნავი სიტყვით „ახალი ვითარება — სამეურნეო მშენებლობის ახალი ამოცანები“.

ეყრდნობოდა რა მარქსისტულ-ლენინურ ეკონომიურ თეორიას, აჰყავდა რა იგი ახალ საფეხურზე, ამხანაგმა სტალინმა ამ სიტყვაში წამოაყენა მეურნეობის სოციალისტურად წარმოების ექვსი პირობა — გამარჯვების ექვსი პირობა. მუშა-ხელის ორგანიზებულად შეგროვება და შრომის მექანიზაცია; ხელფასის სწორი ორგანიზაცია და სოციალიზმისადმი მტრული გათანაბრების მოსპობა; გაუპიროვნების ლიკვიდაცია და საწარმოში ძალთა სწორი განაწილება; ხალხის ერთგული ტექნიკური კადრების შექმნა; სამეურნეო ანგარიშის დანერგვა და შინასამრეწველო დაგროვების გაძლიერება — ასეთია მეურნეობის საბჭოთა წესით წარმოების უმნიშვნელოვანესი პრინციპები, რომლებიც ამხანაგმა სტალინმა თავის ისტორიულ სიტყვაში წამოაყენა. მასში მან შემდგომ განავითარა ის აზრები, რომლებიც მან გამოსთქვა სოციალისტური მრეწველობის მუშაკთა პირველ სრულიად-საკავშირო კონფერენციაზე 1931 წლის 4 თებერვალს წარმოთქმულ სიტყვაში „სამეურნეო მუშაკთა ამოცანების შესახებ“. ორივე ეს სიტყვა უძვირფასესი საუნჯე იყო მარქსისტულ-ლენინური ეკონომიური მეცნიერების საგანძურში.

განსაკუთრებული სიცხადითა და სისრულით განსაზღვრა ამხანაგმა სტალინმა ახალი სამეურნეო - პოლიტიკური ვითარების მთავარი თავისებურებანი, გვიჩვენა მათი ურთიერთ კავშირი და ერთმანეთისაგან დამოკიდებულება და მოგვცა გზა, რომელმაც ჩვენი კადრები ტაქტიკური მოქმედებისათვის შეაიარაღა.

O

როგორც ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, სოციალისტური მრეწველობის სწრაფი აღმავლობის პირველი პირობაა საწარმოთა უზრუნველყოფა მუშა-ხელით.

მრეწველობას ახალი კადრები რომ მივცეთ, საჭიროა მოვაწყოთ **მუშა-ხელის შეგროვება**, იმედი არ დავამყაროთ თვითდინებაზე. ის სამეურნეო მუშაკები, რომლებიც ფიქრობდნენ, მუშა-ხელი თვითონ მოვა საწარმოებშიო, ისე შორს იყვნენ სამეურნეო მშენებლობის ახალი ამოცანებისაგან, როგორც ცა დედამიწისაგან.

წინათ ქალაქებში იყო უმუშევრობა, სოფლად ფენებად დაშლა: სოფლის ღარიბი ელემენტები სამუშაოს საძებნელად ქალაქში მიდიოდნენ.

საბჭოთა ხელისუფლებამ სამუდამოდ მოუღო ბოლო უმუშევრობას. საბჭოთა ხელისუფლებამ ძირფესვიანად მოსპო დიფერენციაცია სოფლად, მოაწყო კოლმეურნეობები, მოახდინა კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია, მოსპო სოფლად სიღარიბე და სიღატაკე. ამით ნიადაგი მოესპო გლეხის მუდმივ მისწრაფებას გაქცეულიყო ქალაქში, რომ იქ მიეღო სამუშაო და ლუკმა-პური.

მაშასადამე, საჭირო იყო მუშა-ხელის ორგანიზებულად შეგროვება და მომზადება. საჭირო იყო აგრეთვე, როგორც ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა, შრომის ყოველმხრივი მექანიზირება.

პარტიამ და ხალხმა შეასრულეს ბელადის მითითება, და ამან მრეწველობას მილიონობით ახალი მუშები მისცა. პირველი და მეორე სტალინური ხუთწლედების მანძილზე მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვი 11,9 მილიონი კაციდან 27 მილიონ კაცამდე გაიზარდა. ქვანახშირისა და სატყეო მრეწველობას, ახალშენებებს და სახალხო მეურნეობის კიდევ მთელ რიგ დარგებს შესაძლებლობა მიეცათ, კოლმეურნეობებთან ხელშეკრულებათა დადების წესით, სისტემატურად შეევსოთ და გაედიდებინათ მუშათა კადრები.

ამასთან ერთად საბჭოთა ქვეყანაში განუწყვეტლივ იზრდებოდა და იზრდება შრომის მექანიზაცია მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე.

მუშა-ხელის ორგანიზებული მომზადების შესახებ სტალინური მითითების შემდგომი განვითარება იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება შრომითი რეზერვების შესახებ. ეს ბრძანებულება საბჭოთა სახელმწიფოს ერთერთი უმნიშვნელოვანესი აქტი იყო სოციალისტური მრეწველობის შემდგომი გაფურჩქვნის უზრუნველსაყოფად. სახელმწიფო წესით შრომითი რეზერვების მომზადება კვალიფიციური მუშა-ხელის დაგეგმვისა და სწორად განაწილების შესაძლებლობას იძლევა.

O

შემდეგ ამხანაგმა სტალინმა მიგვითითა **ხელფასის სწორი ორგანიზაციის** აუცილებლობაზე. ამხანაგმა სტალინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ზუსტად და თანმიმდევრობით ვანხორციელებდეთ სოციალიზმის პრინციპს შრომის ანაზღაურებაში, რათა მუშაკთა მატერიალური დაინტერესება ხელს უწყობდეს სოციალისტური მეურნეობის განვითარებას, შრომის ნაყოფიერების სისტემატურ გადიდებას. მუშაკის მატერიალური დაინტერესება თავისი შრომის შედეგით საზოგადოებრივი შრომის სოციალისტური ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი საფუძველია. მატერიალური დაინტერესების სტიმული მძლავრი მამოძრავებელია წინსვლისათვის. ვინც მეტს მუშაობს და უკეთესად მუშაობს, ის მეტსაც უნდა იღებდეს — ასეთია სოციალისტური პრინციპი.

„არ შეიძლება იმის მოთმენა,— ამბობდა ამხანაგი სტალინი, — რომ მგლინავი შავ მეტალურგიაში იმდენივეს ღებულობდეს, რამდენსაც დამგველი. არ შეიძლება იმის მოთმენა, რომ მემანქანე რკინიგზის ტრანსპორტზე იმდენივეს ღებულობდეს, რამდენსაც გადამწერი“ („ლენინიზმის საკითხები“, გვ. 419-420).

განსხვავება კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ შრომას შორის დარჩება კლასების მოსპობის შემდეგაც კი, ეს კი ნიშნავს, რომ შრომის მიხედვით განაწილებაც უნდა გაქრეს კომუნიზმის მხოლოდ უმაღლეს ფაზაზე.

ხელმძღვანელობდა რა მარქსისა და ენგელსის პრინციპული დებულებებით, ამხანაგმა სტალინმა გაანადგურა წვრილბურჟუაზიული გათანაბრება, გვიჩვენა მისი პოლიტიკური და პრაქტიკული მავნეობა. სწორედ გათანაბრება იყო მუშა-ხელის დენადობის — წარმოების ამ უბედურების ერთერთი მთავარი მიზეზი. მუშა-ხელის დენადობის ბოლომდე ლიკვიდაციისათვის საჭიროა ნამდვილად ზუსტად გატარება შრომის მიხედვით ანაზღაურების პრინციპისა, საჭიროა გათვალისწინება განსხვავებისა კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ შრომას შორის, მძიმე და მსუბუქ შრომას შორის.

სოციალისტური წარმოების ზრდის ამ უმნიშვნელოვანესი პირობის შესახებ ამხანაგი სტალინი არაერთხელ მოგვაგონებდა მთელ რიგ თავის გამოსვლებში. ასე, მაგალითად, პარტიის XVII ყრილობაზე იგი ხაზგასმით აღნიშნავდა ხელფასის სისტემაში გათანაბრების საბოლოოდ აღმოფხვრის აუცილებლობას. სტახანოველთა სრულიად-საკავშირო თათბირზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგი სტალინი აგრეთვე აღნიშნავდა, რომ შრომის ანაზღაურებაში საჭიროა სოციალიზმის ურყევი პრინციპის ზუსტად დაცვა.

XVIII სრულიად-საკავშირო პარტიულმა კონფერენციამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ხელფასის სწორი ორგანიზაციის საკითხებს. კონფერენციამ, სტალინურ მითითებათა მიხედვით, მოითხოვა ბოლომდე „აღმოვფხვრათ გათანაბრების დამპალი პრაქტიკა ხელფასის დარგში და მივაღწიოთ იმას, რომ სანარდო სისტემა და პრემიალური სისტემა კიდევ უფრო მეტად გახდნენ უმნიშვნელოვანესი ბერკეტები შრომის ნაყოფიერების გადიდების საქმეში და, მაშასადამე, მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეშიც“.

O

სოციალისტური ინდუსტრიის ზრდის შემდეგ პირობად ამხანაგმა სტალინმა წამოაყენა **შრომის ორგანიზაცია.** გაუპიროვნების ლიკვიდაცია, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება, საწარმოში ძალების სწორად განაწილება — ასეთი იყო ამოცანა.

საწარმოში მუშათა შენარჩუნებით საქმე არ ამოიწურება. საჭიროა აგრეთვე მუშების ჩაყენება შრომის ისეთ პირობებში, რომლებიც მათ შესაძლებლობას მისცემენ გაზარდონ ნაყოფიერება, გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი. ჩვენში კი ცოტა როდია ისეთი საწარმოები, სადაც წესრიგისა და შეთანხმებულობის ნაცვლად გამეფებული იყო უწესრიგობა და არევდარევა, უპასუხისმგებლობა და გაუპიროვნება.

„რა არის გაუპიროვნება? გაუპიროვნება, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — არის სრული უპასუხისმგებლობა მინდობილი სამუშაოსათვის, უპასუხისმგებლობა მექანიზმების, დაზგებისა და ინსტრუმენტებისათვის“ („ლენინიზმის საკითხები“, გვ. 422).

მთელ რიგ საწარმოებში გადავიდნენ განუწყვეტელ მუშაობაზე, მაგრამ ეს გააკეთეს ზედმეტი დაჩქარებით, ცვლების სათანადო ორგანიზაციის გარეშე, მოცემული კონკრეტული მუშაობისათვის თვითეულის ზუსტი პასუხისმგებლობის გარეშე. ასეთი „ატიპიური“ განუწყვეტელი მუშაობა გადაიქცა კიდევ გაუპიროვნებად.

როგორ მოვუღოთ ბოლო ქაღალდზე არსებულ და დამახინჯებულ განუწყვეტელ მუშაობას, როგორ მოვუღოთ ბოლო მეურნეობისათვის მავნე გაუპიროვნებას? ამ კითხვებზე ამხანაგმა სტალინმა ამომწურავი პასუხი მოგვცა.

მესამე სტალინური პირობა, — სოციალისტურ საწარმოებში შრომის ორგანიზაციის შესახებ, გაუპიროვნების სრული ლიკვიდაციის შესახებ — ამჟამადაც იმდენადვე ქმედითი და აქტუალურია. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულების შემდეგ ჩვენი სამრეწველო საწარმოები ორცვლიან მუშაობაზე გადავიდნენ. შრომის ნაყოფიერების ზრდა და პროდუქციის გადიდება, რაც მიღწეულ იქნა 1940 წლის მეორე ნახევარში და 1941 წლის პირველ კვარტალში, მოწმობდა წარმოებაში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, სამრეწველო საწარმოთა მუშაობის უფრო ეფექტურ მაჩვენებლებს იმ სამცვლიან მუშაობასთან შედარებით, რასაც წარსულში ჰქონდა ადგილი.

მაგრამ საწარმოებში შრომის ორგანიზაციის დარგში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანებაა. ისინი

პარტიული ცხოვრება

საანგარიშო-საარჩევნო კრებების შემდეგ

თბილისის მიქოიანის სახელობის ხორცკომბინატში არის საამქროების ექვსი პარტიული ორგანიზაცია. ხორცკომბინატის პარტბიურო წინათ არასაკმაოდ ხელმძღვანელობდა საამქროთა პარტორგანიზაციებს. ამიტომ რამდენიმე საამქროში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა სუსტად იყო დაყენებული. პარტბიუროს მუშაობის ეს ნაკლი აღინიშნა საამქროთა პარტორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე.

ხორცკომბინატის პარტბიურომ საანგარიშო კრების შემდეგ მკვეთრად გააუმჯობესა ხელმძღვანელობა და დახმარება საამქროთა პარტიული ორგანიზაციებისადმი. პარტბიუროს მდივანი ამხ. ჭ. ცეცხლაძე პრაქტიკულად ეხმარება საამქროს პარტორგანიზაციათა მდივნებს პარტიული კრებისათვის საკითხების მომზადებაში, პარტიული მეურნეობის დაყენებაში, აძლევს რჩევა-დარიგებას ყოველდღიურ მუშაობაში. ყოველივე ამან დადებითი გავლენა მოახდინა საამქროთა პარტორგანიზაციების საქმიანობაზე.

ფართო მოხმარების საგნების საამქროთა პარტიული ორგანიზაცია სუსტად მუშაობდა. საამქროებში ჩამოლილი იყო პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კომუნისტებმა სასტიკად გააკრიტიკეს პარტორგანიზაციის ყოფილი მდივანი ამხ. მაისაშვილი. კრებამ პარტორგანიზაციის მდივნის მუშაობა სუსტად სცნო. ფართო მოხმარების საგნების საამქროთა პარტორგანიზაციის მდივნად არჩეულ იქნა მოწინავე ოსტატი ამხ. ბ. შეხტერი.

ამხ. შეხტერი ხალისიანად შეუდგა მუშაობას; უპირველეს ყოვლისა მან გადასწყვიტა მტკიცედ დარაზმოს კომუნისტები და მათი საშუალებით საამქროების მუშაკთა მთელი კოლექტივი მოცემული გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის. პარტბიუროს დახმარებით მან გულდასმით შეისწავლა ფართო მოხმარების საგნების საამქროთა მუშაობის ნაკლოვანებანი და 16 მაისს პარტიულ კრებაზე გააკეთა შინაარსიანი მოხსენება. პარტორგანიზაციის ახალგაზრდა მდივნის მოხსენებამ გაცხოველებული კამათი გამოიწვია. საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღო 8 კომუნისტმა. ორატორებმა წამოაყენეს საქმიანი წინადადებანი მომავალი მუშაობის გასაუმჯობესებლად. განხილული საკითხის გარშემო კრებამ მიიღო საქმიანი დადგენილება.

მაგრამ პარტორგანიზაციის მდივანი ამით არ დაკმაყოფილდა. იგი პირადად ადევნებს თვალყურს მიღებულ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებას. ამის შედეგია, რომ გამოტანილი დადგენილების საგრძნობი ნაწილი ორ-სამ კვირაში იქნა განხორციელებული. მაგალითად, ღილების საამქრო უკვე მომარაგებულია საჭირო ნედლეულით. შესრულებულია აგრეთვე დადგენილების ის პუნქტი, რომელიც მოითხოვდა ძვლის დამმუშავებელი ჩარხების გაუმჯობესებას. შესრულებულია აგრეთვე დადგენილების მთელი რიგი სხვა პუნქტები, ხოლო ნაწილი განხორციელების პროცესშია. დასახულ ღონისძიებათა გატარების შედეგად „ლაბაშის“ საამქრომ მაისში პირველად შეასრულა საწარმოო გეგმა.

მთლიანად ფართო მოხმარების საგნების საამქროებმა პარტორგანიზაციის მიერ გაწეული მუშაობის წყალობით უკვე 5 ივნისისათვის შეასრულეს მიმდინარე წლის მეორე კვარტალის საწარმოო გეგმა. ახლა ღილების საამქრო იბრძვის, რათა 200 პროცენტით შეასრულოს კვარტალური გეგმა.

9 ივნისს ამავე პარტორგანიზაციამ თავის კრებაზე განიხილა საამქროთა კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობის საკითხი.

სუსტად იქნა შეფასებული საანგარიშო-საარჩევნო კრების მიერ სასაკლაო საამქროს პარტორგანიზაციის მდივნის ამხ. კბილაშვილის მუშაობაც. აქ მდივნად აირჩიეს უნარიანი კომუნისტი, ტექნოლოგი ამხ. გ. ჯიქია. პარტორგანიზაციის ახალი მდივანი გულმოდგინედ შეუდგა მუშაობას. მან პირველ რიგში დააყენა შრომის დისციპლინის განმტკიცების და ტექნოლოგიური რეჟიმის მტკიცედ დაცვის საკითხები.

წინასწარ მომზადების შემდეგ 28 მაისს საამქროს პარტორგანიზაციის კრებაზე განიხილეს საამქროს უფროსის ამხ. პოპოვის მოხსენება შრომის დისციპლინის შესახებ. კრებამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებამ უნდა უზრუნველჰყოს საამქროში შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცება და ტექნოლოგიური პროცესის წესების განუხრელად გატარება. პარტიული ორგანიზაციის მომავალი კრებისათვის, რომელიც ამ დღეებში ჩატარდება, განსახილველად ამზადებენ დანაკარგებთან ბრძოლის და საგიტაციო მუშაობის დაყენების საკითხებს.

აღსანიშნავია, რომ ამხ. ჯიქია პარტორგანიზაციის მდივნობასთან ერთად წარმატებით ეწევა საგიტაციო მუშაობასაც. იგი მიზანდასახულად ესაუბრება მუშებს მათთვის საინტერესო საკითხებზე, ცოცხლად და ხალისიანად ატარებს საუბრებს, აგიტაციას უკავშირებს ადგილობრივ საჭირბოროტო საკითხებს. მას სიამოვნებით უსმენენ მუშები; მეზობელი საამქროებიდანაც კი მოდიან საუბრის მოსასმენად.

ერთგვარად გააუმჯობესა მუშაობა მეხანძრეთა და დამცველი რაზმის პარტიულმა ორგანიზაციამ, რომლის საანგარიშო კრებაზე ყოფილი მდივნის მუშაობა აგრეთვე ცნობილ იქნა არადამაკმაყოფილებლად.

მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ აღნიშნულ საამქროთა პარტორგანიზაციებმა უკვე სავსებით გარდაჰქმნეს მუშაობა. პირიქით, მათ ჯერ კიდევ მრავალი ნაკლი აქვთ მუშაობაში. არასაკმაოდ არის გაშლილი საგიტაციო მუშაობა, კერძოდ ფართო მოხმარების საგნების საამქროებში, ნაკლებად არის გაჩაღებული ბრძოლა დანაკარგების აღმოფხვრისათვის, ელექტროენერგიის და სხვა საშუალებათა მომჭირნედ ხარჯვისათვის, გეგმების ყველა მაჩვენებლებით შესრულებისათვის.

მომავალში საამქროთა პარტორგანიზაციებმა კიდევ უფრო უნდა გააძლიერონ მუშაობა, ხოლო ხორცკომბინატის პარტბიურო კონკრეტულად დაეხმაროს მათ მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლთა სრულიად აღმოფხვრისათვის.

ლ. ჯავახიძე

ახალი პარტბიურო და ლუნინური მოძრაობა

ბათუმი, („კომუნისტის“ კორ.). ამიერ-კავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის ბათუმის სართქლმავლო დეპოს პირველადი პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, რომელიც 5 მაისს ჩატარდა, კომუნისტებმა მკაცრად გააკრიტიკეს პარტბიუროს მუშაობა, რომელიც სუსტად ხელმძღვანელობდა ლუნინური მოძრაობის დანერგვას. კრებაზე აღინიშნა, რომ მოსაბრუნებელ დეპოში (სამტრედიაში) მატარებლის მიღების მოლოდინში მდგომი ორთქლმავალთა ბრიგადები ატარებდნენ წვრილმან რემონტს, მაგრამ არ ხდებოდა შესრულებული სამუშაოს შემოწმება და აღრიცხვა. კომუნისტებმა მოიყვანეს აგრეთვე იმის მაგალითები, რომ ბათუმის დეპოში ორთქლმავალთა ბრიგადებს მანქანების ნაწილების შეკეთების დროს საამქროთა ოსტატები სათანადო დახმარებას არ უწევდნენ იარაღების მიწოდებისა და შესრულებულ სამუშაოთა ჩაბარების საქმეში. ნაკლები ყურადღება ექცეოდა ლუნინური მეთოდებით მუშაობის დანერგვას.

პარტორგანიზაციის ბიუროს ახალმა შემადგენლობამ საჭირო დასკვნები გააკეთა კომუნისტების მითითებებიდან. იგი ენერგიულად მოეკიდა პარტიული კრების მიერ მიცემული განწესის ბოლშევიკურად განხორციელების საქმეს. პარტბიურომ დაწვრილებით შეისწავლა დეპოში ლუნინური მეთოდით მუშაობაზე გადასვლის მიმდინარეობის საკითხი. პარტიული კრების მოწვევამდე პარტბიუროს მდივნის მოადგილემ, ინსტრუქტორ-მემანქანემ ამხ. ვლ. ჩიტიამ ორთქლმავალთა ბრიგადებში და შემკეთებელ საამქროში ჩაატარა საუბრები ლუნინური მოძრაობის მნიშვნელობაზე. ამ საკითხზე ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა გასწიეს აგრეთვე აგიტატორებმა ამხ. ი. თევზაძემ, მ. ქადეიშვილმა, პლ. ჩხიკვაძემ და სხვ. პარტბიუროში შემოვიდა შეკითხვები, რომლებიც ეხებოდა შესრულებულ სამუშაოთა აღრიცხვის მოწესრიგებას, შესაკეთებელი დამხმარე მასალების წინასწარ მომზადებას და სხვ.

15 მაისს პარტიულმა კრებამ განიხილა დეპოს უფროსის ამხ. ს. ოდილავაძის მოხსენება საწარმოო გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ. აღინიშნა ლუნინური მოძრაობის ერთგვარი მიღწევები, აგრეთვე ნაკლიც. პარტბიურომ გააძლიერა კონტროლი პარტიული კრების მიერ გამოტანილი დადგენილების განხორციელებაზე, ამან დადებითი შედეგი მოგვცა.

ბათუმის სართქლმავლო დეპომ, რომელშიც ორთქლმავალთა 82 პროცენტი ლუნინურ მეთოდზე არის გადასული, მაისში ავადმყოფ ორთქლმავალთა რიცხვი შეამცირა და თვალსაჩინოდ გაზარდა სადღეღამისო გარბენის ნორმა.

45 კომუნისტი მუშაობს დეპოს ორთქლმავალთა ბრიგადებში და ყველა ისინი ლუნინურ მეთოდზე არიან გადასული. ამ შესანიშნავი მოძრაობის ინიციატორებად ბათუმის დეპოში ახალგაზრდა კომუნისტი მემანქანეები ამხ. ნიკ. დარჩია და ან. ლომთათიძე ითვლებიან. ორთქლმავალი, რომელსაც ისინი მართავენ, მუდამ სანიმუშო მდგომარეობაშია. აღნიშნული მემანქანეები თანაშემწეებთან ს. კვაჭაძესთან და ვ. გოგიშვილთან ერთად, ორთქლმავლის გარეცხვის, რემონტის დიდ ნაწილს ლუნინური მეთოდით თვითონვე აკეთებენ, რითაც წარმოებას მნიშვნელოვან ეკონომიას აძლევენ. ამ ორთქლმავლის ბრიგადამ მიმდინარე წლის 5 თვის განმავლობაში 4.775 მანეთის საწვავი მასალა დაზოგა.

პარტორგანიზაცია სათავეში ჩაუდგა სოცშეჯიბრებას ორთქლმავალთა ბრიგადებში შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, რის შედეგად გაიზარდა წარმოებაში კომუნისტთა ავანგარდული როლი. მუშაობის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან ლუნინის მეთოდზე გადასული კომუნისტი მემანქანეები ამხ. გ. სუკიასოვი, მ. ბახტაძე, ვ. ხუხუნაშვილი, ალ. ხუჩუა, მ. შენგელია და უპარტიო მემანქანეები ივ. ოდიკაძე, მ. წიწვიძე, რ. ჩხიკვაძე და სხვ.

პარტორგანიზაციამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ორთქლმავალთა ბრიგადებში საზეინკლო საქმის ცოდნის ამაღლებას. ამჟამად კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით დეპოში საზეინკლო საქმეს სწავლობს 6 მემანქანე და 11 მემანქანის თანაშემწე, რომლებიც გადამზადების შემდეგ თვითონვე ჩაატარებენ ლუნინის მეთოდით ორთქლმავლის წვრილმან რემონტს.

ლუნინური მოძრაობის ფართოდ გავრცელების საქმეში პარტორგანიზაციას დიდ დახმარებას უწევს დეპოს ყოველდღიური კედლის გაზეთი, „რეგულატორი“, რომელსაც ლუნინელი მემანქანე კომუნისტი ამხ. ვლ. ხუხუნაშვილი რედაქტორობს. კედლის გაზეთი სისტემატიურად აშუქებს მოწინავე ლუნინელთა გამოცდილებას, ენერგიულად იბრძვის მუშაობის ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

ქ. დოგორჯგინიძე

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1941 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილებით საქ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან:

ვახტანგ ანდრიას-ძე **ხოგომონოვი**, საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1932 წლიდან, პარტბილეთი № 1501065 — როგორც მსჯავრდადებული უყაირათობისა და საკოლმეურნეო პირუტყვის განიავებისათვის; ნინო ბეთუს-ასული **უბილავა**, საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1667665 — როგორც მსჯავრდადებული ობლიგაციების მითვისებისათვის; მიხეილ მემეტის-ძე **ზადეი**, საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1940 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 3074510 — როგორც მსჯავრდადებული სახელმწიფო სახსრების გაფლანგვისათვის; გრიგოლ იოსების-ძე **ნარსია**, საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1940 წლიდან, პარტბილეთი № 3726173 — როგორც მსჯავრდადებული გულგრილობისათვის.

თბილისის მაუდის ფაბრიკის საქსოვი საამქროს მეორე ცვლის პარტორგანიზაციის მდივანი ქვესტატი ამხ. ნ. ხარიტონაშვილი ესაუბრება სტახანოველ მქსოველს ამხ. ბ. კოკოლაშვილს ქსოვილის გაუმჯობესების შესახებ.

ფოტო რ. აკოფოვისა.

ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის გასტროლები

„მეფე ლირი“

შექსპირმა უკვდავჰყო მეფე ლირის ისტორია. ლირის ლეგენდამ, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე საუკუნის წინ ჩაისახა, რომელმაც თვით შექსპირამდე რამდენიმე ლიტერატურული გადამუშავება გაიარა და ისტორიულ ქრონიკებშიც დაიმკვიდრა თავისი ადგილი, გენიალური დრამატურგის ხელში სულ სხვა გამუქება ჰპოვა. ჩვეულებრივად მიუთითებენ წყაროებზე, რომლებიც წინ უსწრებენ ამ გენიალურ ტრაგედიას. გალფრიდის ისტორია, ჰოლინშედის ქრონიკები, ჰიგგინსის პოემა და მრავალი სხვა მასალა შეიძლება არისო „მეფე ლირის“ პირველი წყაროები. მაგრამ შექსპიროლოგები თითქმის ერთხმად აღიარებენ, რომ გენიალურმა ინგლისელმა დრამატურგმა მეფე ლირის ტრაგედია ისეთ უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა, ისეთი სიღრმით წარმოგვიდგინა, რომ მსოფლიო ლიტერატურა სხვა უფრო ძლიერ ტრაგედიას ლირზე არ იცნობს.

როცა ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის მიერ დადგმულ „მეფე ლირს“ უყურებთ, თქვენს წინაშე ბუნებრივად წარმოსდგება ამ ტრაგედიის თეატრალური განსახიერების მთელი სირთულე და უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელიც პირველ ყოვლისა რეჟისორ დოდო ანთაძის წინაშე იდგა. სპექტაკლის წარმატება თავისთავად მეტყველებს დამდგმელის და საერთოდ ანსამბლის გამარჯვებაზე, ანსამბლისა, რომელიც შევსებული იყო ქართული თეატრის სახელმოხვეჭილი წარმომადგენლებითა და უმთავრესად ახალგაზრდა აქტიორული ძალებით. მაგრამ „მეფე ლირი“ ისეთი რთული დრამატიული ნაწარმოებია, მასში იმდენი მთავარი როლია, იმდენი ტრაგედიაა, რომ საერთოდ ძნელია მთელი ანსამბლი უნაკლო იყოს. ამიტომ აღარ არის გასაკვირი, რომ აქტიორული ძალების განლაგებამ ამ ტრაგედიაში პირველი სურათიდანვე გამოამჟღავნა თვითეული შემსრულებლის შემოქმედებითი პოტენცია და მხატვრული დიაპაზონი, პირველ მოქმედებაშივე გვიჩვენა ლირის, ედგარის და გლოსტერის შემსრულებელთა მკვეთრი გამორჩევა ანსამბლიდან.

მაგრამ მთავარი მაინც ლირი იყო. რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ორდენოსანი ალექსანდრე იმედაშვილი, რომელიც ათეული წლებია განუწყვეტლივ უდიდესი დაძაბულობით მუშაობს შექსპირის ტექსტზე, ოტელლოს ოსტატური თამაშის შემდეგ ლირში არანაკლები აქტიორული სიძლიერით წარმოგვიდგა და ერთხელ კიდევ ღრმად დაგვარწმუნა, რომ მისი სახით ქართულ საბჭოთა თეატრს შექსპირის უკვდავი როლების ბრწყინვალე შემსრულებელი ჰყავს. როცა მის თამაშს უყურებთ, ძალაუნებურად გაგონდებათ ისტორია შექსპირის გასცენიურებისა, მსოფლიო მასშტაბის აქტიორები, რომლებიც მთელი სიცოცხლის მანძილზე თამაშობდნენ შექსპირის ტრაგედიებში და რომლებმაც თეატრალურ კულტურას უდიდესი მარაგი, აქტიორული თამაშის მდიდარი ტრადიცია დაუტოვეს. ირვინგი, კინი და ოლრიჯი, კაინცი და როსი, ბარნაი და სალვინი, მრავალი შეიძლება დავასახელოთ ამ დიდ აქტიორთა გვერდით. მოჩალოვი, კარატიგინი, ოსტუჟევი — შექსპირის ტრაგედიებს უდიდესი შემსრულებლები ჰყავდა. ქართულ საბჭოთა თეატრში შექსპირის ოსტატურად შემსრულებელთა შორის ერთერთი პირველი ადგილი უჭირავს ალექსანდრე იმედაშვილს.

მაგრამ ახლა თვით სპექტაკლზე. აი უკვე დამთავრდა გლოსტერის სცენა. ლირი — იმედაშვილი პირველად გამოდის სცენაზე. მონარქი მეფის, რომელიც განუსაზღვრელი უფლებით სარგებლობს, გულზვიადის, მკაცრის და შეუპოვარის, ოთხმოცი წლის მოხუცის სახეზე წარსულ ომებს, სისხლსა და ხოცვა-ჟლეტას, არაფერი აღუნიშნავს, გარდა იმისა, რომ მხოლოდ ის არის ქვეყნის მპყრობელი, ამიტომ ყველას უნდა უყვარდეს, ყველა მისი მონა-მორჩილი უნდა იყოს, არავითარი ზრუნვა ხალხზე, იგი თავის სახელმწიფოს ანაწილებს მხოლოდ იმის მიხედვით, თუ რომელი ქალიშვილი უფრო ღრმა სიყვარულს განუცხადებს მას, ძლიერ მეფეს და მამას. თავის ქალიშვილებს ლირი ეუბნება:

„და აწ მითხარით, — რომელს თქვენგანს
მეტად ვუყვარვართ,
რომ სიყვარულის ვალობაზედ
მეც განგიწილოთ
დიდება ჩვენი და მოგიწყოთ
ზომა-ზომაზედ“.

არა სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესებით, არამედ მისდამი, როგორც მეფისადმი პირადი სიყვარულის მიხედვით ანაწილებს ლირი თავის გვირგვინს. ფიცხი და დესპოტი, იგი მზად არის ლახვარი ჰკრას მის უერთგულეს კენტს, რომელიც სიმართლეს გამოესარჩლება, შური იძიოს და სამუდამოდ მოიშოროს თავიდან ყველაზე მეტად საყვარელი ქალიშვილი კორდელია იმ „დანაშაულისათვის“, რომ პირფერულად ვერ გამოხატა თავისი სიყვარული მშობლისადმი. ლირი გაწბილებულია. ეს არის პირველი ლახვარი მისი ტრაგედიისა. მაგრამ შემდეგ, როცა თავის ორ ქალიშვილს — გონერილას და რეგანას შუა გაუყოფს უზარმაზარ სახელმწიფოს, ყველაფერს მისცემს, თავისთვის კი მხოლოდ მეფობის სახელს და ას მხლებელს დაიტოვებს, ხოლო ქალიშვილები მას, დამცირებულს და მიწასთან გასწორებულს თავშესაფარსაც კი აღარ აძლევენ, მაშინ პირველად, დიდი სულიერი ტანჯვისა და ცნობიერებაში რადიკალური გარდატეხის შედეგად, დესპოტი მეფე პირველად დადგება თავისი ქვეყნის მთელი სისასტიკისა და საშინელების წინაშე, პირველად აეხილება თვალები, თუ როგორი ცხოვრება შექმნა მან, რა ყოფილა ადამიანი, და იგი პირველად თავისი ოთხმოცწლიანი არსებობის მანძილზე, როცა ტრიალ ველზე, ღამე, წვიმასა და ქარ-ქუხილში იგრძნო სიცივე და უბინაობა, უდიდესი ტრაგიზმით შეინანებს:

„ტიტველ-ოხერნო, უბედურნო,
შიშველ-ტიტველნო!
რას შვრებით მაშინ, როს მოგასწრობთ
ესეთი ღამე?..
მშიერ-მწყურვალნი, უმოსილნი,
უსახლ-კარონი
ნეტა ვით იტანთ ამისთანა
ვაი-ვაგლახსა?
ვაი რომ ესდენ ცოტა თქვენზედ
მე მიზრუნვია!..“

შექსპირის ტრაგედიის უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს ლირის სულიერი ქვეყნის ამ გარდაქმნის მთელი ფილოსოფიური და პრაქტიკული სიღრმის ჩვენება. იმედაშვილს ეს კარგად გაუგია. იგი ისევე ძლიერი და შემძვრწუნებელი იყო ამ სცენაში, რა უდიდესი ოსტატობითაც ჩაატარა სცენა განდევნისა გონერილასთან. აქ მაყურებელი მას სამართლიანად შეეგება მხურვალე ტაშით. ვერ იტყვით, იმედაშვილი სად არის ძლიერი. მისი ლირი აქტიორული თამაშით ერთნაირი სიძლიერისაა თავიდან ბოლომდე — როცა სახელმწიფოს ჰყოფს და ფინალში — კორდელიას გაციებულ ცხედართან. მესამე მოქმედების პირველი სურათი, განდევნილობაში ლირის ჩვენება, ტრიალი მინდორი, ჭექა-ქუხილი დიდი რეჟისორული გამოგონებით გაუკეთებია რესპუბლიკის სახალხო არტისტს, ორდენოსან დოდო ანთაძეს. ეს მოქმედება რაღაც განმაცვიფრებელი სიძლიერით გამოირჩევა. ამას ხელს უწყობს განდევნილი ედგარიც, საწყალ გიჟ თომად გადაქცეული, ედგარი, რომლის ღრმად დამაჯერებელი, აქტიორული შესრულების მხრივ ძალიან საინტერესო სახე შექმნა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა იუზა ზარდალიშვილმა. რამდენიმე წელია იგი ამ სახეს ჰქმნის. მისი ედგარი ბოლომდე დახვეწილია, დამთავრებული. ზარდალიშვილი ცნობილია, როგორც შექსპირის ჰამლეტის საინტერესო განმასახიერებელი და მასაც შექსპირის ტექსტზე ათეული წლები უმუშავნია. ედგარში ნათლად სჩანს ამ მუშაობის შედეგი. მაგრამ მესამე მოქმედებაში და მეოთხე მოქმედების პირველ სურათში მისი ედგარი ყველაზე ძლიერი გვეჩვენა, შესაძლებელია იმიტომაც, რომ სწორედ აქ აღწევს ედგარის ტრაგედია უმაღლეს მწვერვალს; აქ მის წინაშე წარმოსდგება კორნვალის მიერ თვალებდათხრილი მამამისი, გრაფი გლოსტერი, აქ ხედავს იგი ლირის ტრაგედიას და ამბობს მრავლისმეტყველ სიტყვებს:

„როდესაც ვხედავთ ჩვენზედ დიდთა
ჩვენებრ ტანჯულთა,
მაშინ საკუთარს ჩვენს ტანჯვასაც
ადვილათ ვიტანთ“.

ედგარის ტანჯვა კი მთელი საშინელი ტრაგედია იყო. ძმის — ედმუნდის მზაკვრობამ მუხანათობამ დაღუპა მისი მამა გლოსტერიც. თვალებდათხრილი გლოსტერი დგას სცენაზე. იგი ფეოდალიზმის, დესპოტიზმის საშინელებათა ცოცხალი განსახიერებაა. ეს შეგნებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ვ. ჩხიკვაძეს. მისი გლოსტერი სწორედ ამ მხრივ არის საინტერესო და მიმზიდველი.

ასევე გვხიბლავს მ. სვანიძის ხუმარა და მ. გელაშვილის კორდელია. ხუმარას კალამბურებს, მის მკაცრ პარაფრაზებს სვანიძე კარგად გადმოგვცემს. იგი ხელს უწყობს ლირის მთელი ტრაგედიის ნათლად წარმოდგენას, ლირის დახასიათებას, და როდია მოხუცი მეფის მარაზმის დაცინვა.

მთელი სპექტაკლი დიდი ოსტატობით არის დადგმული. ჩვენ სცენაზე ვხედავთ ფეოდალიზმის რღვევის ისტორიული ხანა, საშუალო საუკუნეების საშინელებათა მხატვრული უკუფენა. ანსამბლს ხელს უწყობდნენ მსახიობები ც. ამირეჯიბი — გონერილა, თ. ღვინიაშვილი — რეგანა, ვ. მეგრელიშვილი — კენტი, ა. მამრიკიშვილი — ალბანი, ვ. კინწურაშვილი — ედმუნდი, ვ. გვენცაძე — კორნვალი და სხვ.

დამდგმელს სპექტაკლისათვის შექსპირის ტექსტის საინტერესო მონტაჟი გაუკეთებია. ზოგიერთი სცენის სიტყვიერი მასალა შემცირებულია. ამოღებულია, მაგალითად, კლდიდან გლოსტერის სასიკვდილოდ გადმოხტომა და მისი „სასწაულებრივი“ გადარჩენა. ამ ადგილის ამოღება სცენის მთლიანობას არაფერს აკლებს, პირიქით, ლაკონიურად წარმოგვიდგენს მას. „მეფე ლირის“ მთელი ტექსტი დიდი სიფრთხილით, დაკვირვებით და მთელი ტრაგედიის ღრმა ცოდნით არის შემცირებული, ისე, რომ სპექტაკლის მთლიანობისათვის არაფერი იკარგება.

პროფ. დ. კაკაბაძის მხატვრობა და კომპოზიტორ ქ. მეღვინეთუხუცესის მუსიკა მთელი სპექტაკლის მშვენიერი ნაწილია.

„მეფე ლირის“ წარმატება ერთხელ კიდევ მოწმობს ქართული საბჭოთა თეატრის მაღალ კულტურას და მჭევრმეტყველურად ადასტურებს, რომ ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრი, რომელსაც რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ორდენოსანი დ. ანთაძე ხელმძღვანელობს, ერთერთი მოწინავე თეატრია.

გ. ჯიბლაძე

გაბედულად და გადაჭრით იყვნენ მხილებული XVIII პარტკონფერენციაზე. კონფერენციის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელების გზით ჩვენ მივაღწევთ ახალ-ახალ წარმატებებს საწარმოებში შრომის ორგანიზაციის დარგში.

O

ამხანაგმა სტალინმა წამოაყენა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის პრობლემა: **მუშათა კლასმა უნდა შექმნას თავისი საკუთარი საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენცია**, რომელსაც შეეძლება დაიცვას მისი, როგორც გაბატონებული კლასის, ინტერესები წარმოებაში.

ყველა გაბატონებულ კლასებს ჰყავდათ თავისი ინტელიგენცია. მუშათა კლასი, იმისათვის რომ ნამდვილად უხელმძღვანელოს მრეწველობას და მთელ სახალხო მეურნეობას, ვალდებულია აგრეთვე შექმნას თავისი საკუთარი საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენცია, რომელიც მოწოდებულია უდიდესი როლი ითამაშოს სოციალისტურ მშენებლობაში.

საბჭოთა ხელისუფლებამ ფართოდ გაუღო უმაღლესი სასწავლებლების კარი მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას. მაგრამ არა მარტო უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში უნდა ყალიბდებოდეს მუშათა კლასის საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენცია. არა. პარტია და საბჭოთა ხელისუფლება მეთაურთა თანამდებობებზე აწინაურებენ მუშათა კლასის ახალ ფენას, რომელიც შესდგება სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზატორებისაგან, შრომითი აღმავლობის პრაქტიკული სულისჩამდგმელებისაგან, დამკვრელი ბრიგადების წინამძღოლებისაგან. საჭიროა, ამბობდა ამხანაგი სტალინი, უფრო გაბედულად დავაწინაუროთ ეს ინიციატივის მქონე ამხანაგები, მათ შორის უპარტიოებიც, ვასწავლოთ მათ, შევუქმნათ პირობები მათი ორგანიზატორული ნიჭის გამოვლინებისათვის.

აი რა გზით მიდიოდა ახალი, ხალხური, საბჭოთა ინტელიგენციის შექმნა.

სიტყვაში „ახალი ვითარება — სამეურნეო მშენებლობის ახალი ამოცანები“ ამხანაგი სტალინი ლაპარაკობდა **ძველი, ბურჟუაზიული საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენციისადმი დამოკიდებულებაზეც**. ცნობილია, რომ წინათ ძველი, ბურჟუაზიული საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენციის ყველაზე კვალიფიცირებული ნაწილი შეპყრობილი იყო მავნებლობის სენით. ძველი ინტელიგენციის მეორე ნაწილი ხელს აფარებდა მავნებლებს, მესამე — ხელს იბანდა, ნეიტრალიტეტს იცავდა, მეოთხე — მერყეობდა. უმრავლესობა, რა თქმა უნდა, ცოტად თუ ბევრად ლოიალურად მუშაობდა.

სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებათა გავლენით, ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წარმატებით განადგურების გავლენით, ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის მთელ რიგ სიძნელეთა გადალახვის შედეგად ძველი ინტელიგენციის განსაზღვრულმა ნაწილმა მუშათა კლასთან ერთად იწყო მუშაობა. ძველი ტექნიკური ინტელიგენციის განწყობილებებში დაისახა მობრუნება საბჭოთა ხელისუფლებისაკენ. აღნიშნავდა რა ამ ახალ ძვრებს, ამხანაგი სტალინი ამავე დროს იძლეოდა გაფრთხილებას, რომ მავნებლები არ გამქრალან. „მავნებლები არიან და იქნებიან, სანამ ჩვენში არსებობენ კლასები, სანამ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა“ (იქვე, გვ. 431).

მაგრამ ახალი პირობები, ახალი ვითარება მოითხოვს ახალ დამოკიდებულებასაც ძველი ინტელიგენციისადმი და მისი იმ ნაწილისადმიც კი, რომელსაც სოციალიზმისათვის ბრძოლის პირველ ეტაპებზე არ სურდა მუშათა კლასთან ერთად ემუშავნა. „არასწორი და არადიალექტიკური იქნებოდა, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — ახალ, შეცვლილ პირობებში, განვაგრძოთ ძველი პოლიტიკა“ (იქვე).

სტალინურმა კურსმა მუშათა კლასიდან საკუთარი საწარმოო — ტექნიკური ინტელიგენციის შექმნისაკენ, ძველი ინტელიგენციის კადრებისადმი ახალმა დამოკიდებულებამ გამოიწვია კულტურული რევოლუციის უდიდესი მონაპოვარნი.

1936 წელს მოხსენებაში სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ ამხანაგმა სტალინმა შესძლო მთელი მსოფლიოს წინაშე განეცხადებინა, რომ სსრ კავშირში შექმნილია ახალი, ხალხური, მშრომელი ინტელიგენცია, რომელიც მუშებთან და გლეხებთან ხელიხელჩაკიდებული აშენებს უკლასო საზოგადოებას.

ასრულებდა რა ამხანაგ სტალინის მითითებებს, პარტიამ ამ ხნის განმავლობაში უდიდესი მუშაობა ჩაატარა საბჭოთა ინტელიგენციის პოლიტიკური აღზრდისათვის. პარტია აიარაღებს ჩვენს საწარმოო-ტექნიკურ კადრებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის ცოდნით, საზოგადოების განვითარების კანონების, კომუნიზმისათვის ბრძოლის კანონების ცოდნით.

O

შემდეგ ამხანაგი სტალინი მიგვითითებს სოციალისტური მეურნეობის გაძღოლის ფრიად მნიშვნელოვან იარაღზე — სამეურნეო ანგარიშზე. **სამეურნეო ანგარიშის დანერგვა და განმტკიცება ყველა საბჭოთა საწარმოში, მრეწველობის ყველა დარგში** — აქეთია სოციალისტური მეურნეობის აყვავების აუცილებელი პირობა.

ამხანაგმა სტალინმა გამანადგურებლად გააკრიტიკა ის სამეურნეო მუშაკები, რომლებმაც „თავი მიანებეს ანგარიშს, კალკულაციას, შემოსავლისა და გასავლის დასაბუთებული ბალანსების შედგენას“ (იქვე, გვ. 433).

სამეურნეო ანგარიშისადმი უდარდელი დამოკიდებულება იწვევდა იმას, რომ თვითღირებულება მთელ რიგ საწარმოებში არა თუ არ მცირდებოდა, არამედ, პირიქით, იზრდებოდა. ასეულ მილიონობით სახალხო ფული ქარს გაჰქონდა. შინასამრეწველო დაგროვება ფერხდებოდა.

სამრეწველო მშენებლობის გაშლისათვის საჭირო იყო დაგროვების ახალი წყაროები. ამხანაგმა სტალინმა თავის სიტყვაში მიგვითითა იმაზე, რომ დაგროვების ძველი წყაროების (მსუბუქი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა) გაძლიერებასთან ერთად მძიმე მრეწველობამაც და უწინარეს ყოვლისა მანქანათმშენებლობამ უნდა შექმნან დაგროვება. საჭირო იყო გაგვეძლიერებინა დაგროვების ძველი წყაროები და განგვევითარებინა ახალი წყაროები, საჭირო იყო მოგვესპო უყაირათობა, მოგვეხდინა მრეწველობის შინაგანი რესურსების მობილიზაცია, დაგვენერგა და განგვემტკიცებინა სამეურნეო ანგარიში, სისტემატურად შეგვემცირებინა თვითღირებულება.

სამეურნეო ანგარიშის დანერგვა და განმტკიცება, შინასამრეწველო დაგროვების გადიდება — ეს სტალინური მითითება სოციალისტური ეკონომიკის განვითარების კანონი გახდა.

სამეურნეო მუშაკთა თათბირზე ამხანაგ სტალინის გამოსვლის დროიდან გასული მთელი ათი წლის მანძილზე ჩვენი მრეწველობა იბრძოდა სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებისათვის, დაგროვების გაძლიერებისათვის. მაგრამ, როგორც XVIII პარტკონფერენციის მასალებმა დაგვანახვა, ჩვენმა მრეწველობამ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ გადაჭრით მოუღოს ბოლო საქმის უყაირათოდ გაძღოლას და საბოლოოდ აღმოფხვრას მფლანგველობა მეურნეობაში.

საჭიროა გვახსოვდეს და არ ვივიწყებდეთ, რომ თვითღირებულების შემცირების ყოველი პროცენტი ზრდის დაგროვებას მრეწველობის შიგნით, განამტკიცებს ჩვენი **სამშობლოს** სოციალისტურ და სამხედრო ძლიერებას. ხოლო ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეორე მსოფლიო იმპერიალისტური ომის ვითარებაში.

იმისათვის, რომ სწორად უხელმძღვანელო საწარმოს, უნდა იცნობდე მისი საქმიანობის ეკონომიურ მხარეს. საჭიროა ისე წარმართავდე საწარმოს ეკონომიკას, რომ თვითღირებულების შემცირების გეგმა აუცილებლად სრულდებოდეს, რომ ჩვენი საწარმოები არა თუ ზარალს არ იძლეოდნენ, არამედ გეგმას მოგებისას ზეზითაც ასრულებდნენ. ბევრი ჩვენი საწარმო ჯერ კიდევ უშვებს სათბობის, ნედლეულის უდიდეს გადახარჯვას, მეტად ძვირფასი მასალების დიდ ნარჩენებს, ელექტროენერგიის გადახარჯვას.

XVIII სრულიად-საკავშირო პარტკონფერენციამ მოითხოვა გადამწყვეტი ბრძოლა უყაირათობასთან, მფლანგველობასთან, მომჭირნეობის რეჟიმის უსასტიკესი დაცვა.

O

თავისი სიტყვის დასასრულ ამხანაგმა სტალინმა მოუწოდა საბჭოთა სამეურნეო მუშაკებს **იმუშაონ ახლებურად, უხელმძღვანელონ ახლებურად.** საწარმოთა ხელმძღვანელობა ახალ პირობებს რომ უპასუხებდეს, საჭიროა ყოველ საკითხს მივუდგეთ არა ზოგადი ფრაზებითა და ლოზუნგებით, არა კანცელარიულ-ბიუროკრატიულად, არამედ საქმის ტექნიკაში, დეტალებში, „წვრილმანებში“ ჩაწვდომით. „წვრილმანებისგან“, გვასწავლის ამხანაგი სტალინი, შენდება დიდი საქმეები.

ამხანაგმა სტალინმა მოგვცა აგრეთვე მითითებანი მრეწველობის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის შესახებ. ნამდვილად კონკრეტული, არსებითი, წარმოების ტექნიკასა და დეტალებში ჩაწვდომით ხელმძღვანელობისათვის საჭირო იყო უზარმაზარ გაერთიანებათა დაწვრილერთეულება და ამით მათი მიახლოება ქარხნებთან. ამ მითითების შესრულებამ მალე გამოიღო თავისი ნაყოფი; მრეწველობის ხელმძღვანელობა უფრო კონკრეტული, ოპერატიული და მოქნილი გახდა.

ამხანაგმა სტალინმა ხაზი გაუსვა აგრეთვე მრეწველობის ხელმძღვანელობაში ერთმმართველობისა და საწარმოთა მუშაკებთან ხელმძღვანელთა ცოცხალი კავშირის განმტკიცების საჭიროებას. საჭიროა ხელმძღვანელებმა უფრო ხშირად ჩამოუარონ ქარხნებს, უფრო მეტხანს დარჩნენ იქ სამუშაოდ და არა მარტო ასწავლონ ადგილობრივ მუშაკებს, არამედ კიდეც ისწავლონ მათგანო.

არ შეიძლება აუღელვებლად წაიკითხო სტალინის სიტყვები ხალხის ყოვლისმძლე ძალის შესახებ. რაოდენი რწმენაა მუშათა კლასისადმი, საბჭოთა ადამიანებისადმი, მათი შემოქმედებითი ნიჭისადმი! რა გესლიანად არიან მხილებულნი „პარტიასთან შორიახლოს მდგომი“ ის ობივატელები, რომლებიც შჩედრინის „უბრძნესი პესკარების“ მსგავსად მუდამ მზად არიან გაავრცელონ თავიანთ გარშემო „უსუსური აზროვნების სიცალიერე“, სთესონ ბოლშევიკური გეგმის რეალობისადმი რწმენის უქონლობა!

ამხანაგმა სტალინმა მოგვცა სოციალისტური მეურნეობის საწარმოო გეგმის კლასიკური ფორმულირება. ბოლშევიკური გეგმა ციფრების მშრალი შეჯამება როდია. გეგმა ასახავს მილიონობით მშრომელთა, ახალი ცხოვრების შემომქმედთა, მოღვაწეობას. „ჩვენი პროგრამის რეალობა, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — ეს ცოცხალი ადამიანებია, ეს თვითონ ჩვენ ვართ თქვენთან ერთად. ჩვენი ნებისყოფა შრომისადმი, ჩვენი მზადყოფნა ვიმუშაოთ ახლებურად, ჩვენი სიმტკიცე გეგმის შესრულებაში“ (იქვე, გვ. 437).

შრომელთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის ეს შთაგონებული სიტყვები მოუწოდებენ ჩვენს ხალხს თავგანწირული ბრძოლისაკენ სოციალისტური მეურნეობის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის განხორციელებისათვის, კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისათვის.

ა. მოროზოვი

საომარი მოქმედება სირიაში

ბორდო, 20 ივნისი (საკდესი). შავას-ოფის სააგენტოს ცნობით, სირიის ყველა ფრონტზე მდგომარეობა უცვლელი რჩება. გუშინ დამასკოს სამხრეთით მდებარე რაიონში წარმოებული ოპერაციების დროს საფრანგეთის ჯარმა ხელთ იგდო 400-ზე მეტი ტყვე. საფრანგეთის ავიაციამ, დღისით და ღამით, არაერთხელ დაუშინა ყუმბარა მტრის თავმოყრილ ჯარს კისვეს რაიონში, ყველა თვითმფრინავი თავის ბაზაში დაბრუნდა.

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისელებმა განაახლეს შეტევა ბეირუთზე და განსაკუთრებით დამასკოზე, მდგომარეობა ფრონტებზე გუშინ დილიდან მხოლოდ ოდნავ შეიცვალა. მაშინ, როდესაც ინგლისის საზღვაო არტილერია კვლავ უშენს საფრანგეთის ჯარის ახალ პოზიციებს ლიბანის სანაპიროზე. ხოლო დე გოლისა და ინდოეთის ჯარის ნაწილები ცდილობენ შეიჭრან დამასკოს სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ გარეუბნებში, საფრანგეთის ჯარი, რომელმაც წინ წაიწია მტრის ფლანგებზე ამასწინანდელი შეტევის შემდეგ, ინარჩუნებს მის მიერ დაკავებულ პოზიციებს. შედეგად, აცხადებს სააგენტო, მდგომარეობა საკმაოდ გაურკვეველია.

უკანასკნელი ცნობების თანახმად, საფრანგეთის ჯარი კვლავ მტკიცედ ინარჩუნებს პოზიციებს დამურის რაიონში, მიუხედავად ინგლისის ფლოტის მოქმედებისა, რომელიც განუწყვეტლივ უშენს ნაპირს დიდი ყალიბის ქვემეხს. საფრანგეთის ჯარისთვის, რომელიც ლიბანის ნაპირზე იბრძვის, ეს ბომბარდირება უფრო სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენს, ვიდრე ავსტრალიელთა ნაწილების იერიშები.

ცენტრალურ სექტორში საფრანგეთის ჯარი კვლავ წინააღმდეგობას უწევს მტრის შეტევას ჯეზინსა და მერჯაიუნზე და ინარჩუნებს ელ-ყუნაიტრს, აგრეთვე ხერმონის მთაგრეხილის დასავლეთ კალთებს. 18 ივნისს, დე გოლისა და ინდოელთა ჯარის ნაწილებმა პირველად მიიტანეს მასობრივი იერიში დამასკოზე. იერიში მოგერიებულ იქნა და მტერმა დიდი ზარალი ნახა. ამის შემდეგ მტრის ჯარმა შესცვალა ტაქტიკა და წვრილ-წვრილ ჯგუფებად იწყო შეჭრა საირიგაციო არხების გასწვრივ, სოფლებსა და ბაღებში, რომლებიც დამასკოს გარეუბანს წარმოადგენენ.

ასეთი შეჭრის ცდა, განსაკუთრებით აქტიური იყო 18 ივნისს, ღამით უმთავრესად ელ-მეზის რაიონში, დამასკოს მთავარი აეროდრომის და იმ გზის მიმართულებით, რომელიც ბეირუთისაკენ მიდის. მაღლობებზე დადგმული საფრანგეთის ჯარის ბატარეები მონაწილეობას იღებდნენ მტრის შეტევის მოგერიებაში.

ბრძოლა გრძელდება აგრეთვე ჯებელ-დრუზსა და დერაა-კისვეს გზას შორის, განსაკუთრებით იზრის რაიონში და მის სამხრეთით.

ნიუ-იორკი, 20 ივნისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, გუშინ, ღამით, ბეირუთში ინგლისის მოპაკირე ყუმბარმშენები ნახევარი საათის განმავლობაში ყუმბარას უშენდნენ საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო გემებს, დოკებსა და საწყობებს. ბომბარდირების შედეგის შესახებ ცნობები არ არის.

დამასკოს სამხრეთით ფრანგებმა ტყვედ წაიყვანეს 400 კაცი. საფრანგეთის ავიაცია აქტივობას იჩენდა დამასკოს რაიონში. ამასთან მას არავითარი ზარალი არ მოსვლია.

საომარი მოქმედება აფრიკაში

ბერლინი, 20 ივნისი (საკდესი). უმაღლესი სარდლობა იუწყება: ჩრდილოეთ აფრიკაში შემჩნეულია ორივე მხარის მზვერავ რაზმთა უმნიშვნელო მოქმედება.

რომი, 20 ივნისი (საკდესი). იტალიის სარდლობა იუწყება: ჩრდილოეთ აფრიკაში, სოლუმის ფრონტზე, გრძელდება ოპერაციები მტრის ჯარის ნაშთებისაგან ტერიტორიის გასაწმენდად. არაერთხელ ბომბარდირებულ იქნა აგრეთვე ინგლისის მოტომექანიზებული ნაწილები, რომელნიც სოლუმის სამხრეთით და აღმოსავლეთით იმყოფებოდნენ. ჩამოგდებულია ინგლისის „ჰარიკეინის“ ტიპის 3 თვითმფრინავი.

ტობრუკის ფრონტზე იტალიის არტილერიამ წარმატებით დაუშინა ყუმბარა და გაჭფანტა მტრის ჯარის ნაწილები, რომელნიც გადაჯგუფებას ახდენდნენ. იტალია-გერმანიის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა ტობრუკის სიმაგრეებს.

აღმოსავლეთ აფრიკაში 17 ივნისს მტერმა სცადა გონდარის ზონაში იერიშის მიტანა, მაგრამ ეს იერიში მოგერიებულ იქნა. მტერმა ბრძოლის ველზე დასტოვა 400-ზე მეტი დაჭრილი და მოკლული. იმავე დღეს ინგლისის ჯარის ნაწილებმა სცადეს მოულოდნელად დასხმოდნენ თავს დებრა-ტაბორის (ტანის ტბის აღმოსავლეთით) გარნიზონს, მაგრამ ენერგიული კონტრიერიშით უკუქცეულ იქნენ.

18 ივნისს იტალიის თვითმფრინავებმა ყუმბარა და ტყვიამფრქვევი დაუშინეს ამ რაიონში მოსულ მტრის მაშველ ძალებს.

ლონდონი, 20 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, დიდი სატანკო ბრძოლა, რაც უკანასკნელ დღეებში სწარმოებდა დასავლეთ უდაბნოში, შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს. მიღებული ცნობების თანახმად, ინდოელთა ჯარი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ინგლისის ოპერაციებში ამ ფრონტზე.

აბისინიაში ინგლისის ჯარის ნაწილებმა დესიდან წაიწიეს დებრა-ტაბორამდე, რომლის რაიონს ჯერ კიდევ ინარჩუნებენ იტალიის ძალები.

ნიუ-იორკი, 20 ივნისი (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კაიროელი კორესპონდენტი, რომელიც ინგლისის ჯარს ახლდა ლიბიაში ინგლისელთა უკანასკნელი შეტევის დროს, გადმოგვცემს დაწვრილებით ცნობებს ამ ოპერაციის შესახებ. იმის შემდეგ, რაც ინგლისის ტანკებმა კაპუცოს რაიონში მომხდარ დიდ ბრძოლაში დაამარცხეს გერმანიის სატანკო რაზმი, და წარმატებით დაიკავეს სოლუმი, გერმანელებმა შემოუარეს ინგლისელთა მარცხენა ფლანგს. ამისთვის მათ გამოიყენეს ასობით სარეზერვო ტანკი, რომელთა არსებობის შესახებ ინგლისელებმა არაფერი იცოდნენ. ინგლისელებმა სრული წესრიგით დაიხიეს უკან. ინგლისის თვითმფრინავებს განუწყვეტლივ მიჰქონდათ იერიში გერმანიის აეროდრომებზე, ისეთ შორეულ აეროდრომებზედაც კი, როგორიცაა ელ-გაზალის აეროდრომი.

ჩილის პოზიცია

ნიუ-იორკი, 20 ივნისი (საკდესი). გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ცნობით, ჩილის საგარეო საქმეთა მინისტრმა როსეტიმ პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ ჩილის საგარეო პოლიტიკა არ იხრება ღერძის სახელმწიფოებისაკენ ან ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატებისაკენ. „დიდ სახელმწიფოებს ამჟამად სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა აქვთ, — განაგრძობდა როსეტი. — ჩილიმ გამოაცხადა, რომ იგი უსასტიკეს ნეიტრალიტეტს დაიცავს“.

შემდეგ როსეტიმ აღნიშნა, რომ ჩილი ცდილობს გააფართოოს სავაჭრო ურთიერთობა ამერიკის ყველა ქვეყანასთან, განსაკუთრებით კი ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

უცხოეთის ფონდების აღრიცხვა პორტორიკოში

ნიუ-იორკი, 20 ივნისი (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ცნობით, პორტორიკოს გუბერნატორმა გამოაცხადა, რომ, უცხოეთის ფონდებზე სეკვესტრის დადების შესახებ რუზველტის მიერ გაცემული განკარგულების შესაბამისად, პორტორიკოში იწყება ყველა ევროპული ფონდის აღრიცხვა. გუბერნატორმა აღნიშნა, რომ რუზველტის განკარგულება, როგორც ეტყობა, ადგილობრივი ხასიათის ოპერაციებზე არა ვრცელდება. გაზეთის სიტყვით, კუნძულის ხელისუფალთა ღონისძიებებმა საგონებელში ჩააგდო ესპანელი რეზიდენტები, რომლებსაც ეკუთვნის მიწისა და საწარმოთა დიდი ნაწილი პორტორიკოში.

ინდოეთი ამერიკის შეერთებულ შტატებში ქმნის შემსყიდველ კომისიას

ლონდონი, 20 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ინდოეთის მთავრობა ამერიკის შეერთებულ შტატებში ქმნის შემსყიდველ კომისიას, რომელიც სამხედრო მასალის შესყიდვის საკითხებზე იმუშავებს. როგორც ცნობილია, ამგვარი კომისიები ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე შექმნილი აქვთ სხვა ქვეყნებს, რომლებიც ბრიტანეთის იმპერიაში შედიან. ეს კომისიები ინგლისის მთავრობასთან მჭიდრო კონტაქტით მუშაობენ.

კოლოჟვარის მუშები პურის გაცემის ნორმის გადიდებას მოითხოვენ

ბუდაპეშტი, 20 ივნისი (საკდესი). გაზეთი „კელეტი უიშაგის“ ცნობით, ქალაქ კოლოჟვარის მუშები ბურგომისტრისაგან პურის გაცემის ნორმის გადიდებას მოითხოვენ. როგორც ცნობილია, — სწერს გაზეთი, — მომარაგების სიძნელეებთან დაკავშირებით, კოლოჟვარში იძულებული გახდნენ შემოეღოთ პირველი საჭიროების პროდუქტების — ქონის, პურის, დამარილებული ხორცისა და ძეხვეულის ბარათები. თვითეულ კოლოჟვარელ მცხოვრებს დღეში 300 გრამი პური ეძლევა. კოლოჟვარელი მუშები ცდილობენ, რომ დღიური ნორმა 200 გრამით გაადიდებინონ.

თბილისის კინოსტუდიაში დაიწყო ახალი კინოფილმის „გიორგი სააკაძის“ გადაღება. დადგმა სტალინის პრემიის ლაურეატის მ. ჭიაურელისა. სურათზე: სტალინის პრემიის ლაურეატი მსახიობი ა. ხორავა (მარცხნივ, წინა პლანზე) გ. სააკაძის როლში და ა. ომიაძე ზურაბ ერისთავის როლში.

ფოტო მ. კვირიკაშვილისა და ვ. ჩერკასოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

კულტურული ლაშქრობა ხევსურეთში

დუშეთის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ინიციატივით 10 ივლისიდან 10 აგვისტომდე ჩატარდება კულტურული ლაშქრობა ხევსურეთის სოფლებში. ლაშქრობისათვის გამოყოფილ ბრიგადაში შედიან პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები, მასწავლებლები, ექიმები, იურისტები, ლექტორები, აგიტატორები, ფინმუშაკები და სხვ. კულტურული ლაშქრობის უფროსია გ. თეთრუაშვილი (ბარისახოს ტერიტორიული პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი), ხოლო პოლიტხელი—ი. გვათუა.

კულტურული ლაშქრობა ჩატარდება ფართო მასშტაბით და მრავალფეროვანი საინტერესო გეგმით, რომელშიც შედის მთელი რიგი ფრიად მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

კულტურული ლაშქრობისას მოეწყობა ლექციები სტალინურ კონსტიტუციაზე, საკოლმეურნეო მშენებლობაზე, საერთაშორისო თემებზე, სტალინური ხუთწლედების შედეგად მიღწეულ უდიდეს გამარჯვებებზე, საბჭოთა პატრიოტიზმზე, სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე და სხვ. მთელი რიგი ლექციები და საუბრები ჩატარდება აგრეთვე ანტირელიგიურ თემებზე.

მოლაშქრეთა ბრიგადა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს სახალხო განათლების საკითხებს. შემოწმდება დაწყებითი სკოლების მდგომარეობა და მზადება ახალი სასწავლო წლისათვის. გამოინახება ახალი სასკოლო შენობები და მოხდება მათი შეკეთება-მოწყობა. ბრიგადაში შემავალი ექიმები ადგილზე დახმარებას გაუწევენ ავადმყოფებს და მოაწესრიგებენ საექიმო მომსახურების საქმეს. წვევამდელ ხევსურ ახალგაზრდებს შორის ჩატარდება სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა. სასოფლო საბჭოების ცენტრებში გამოუშვებენ კედლის გაზეთებს.

ბრიგადას თან მიაქვს მოძრავი კინო. სურათების ჩვენებისას მაყურებლებს მიეცემათ საჭირო ახსნა-განმარტება. მოსახლეობისათვის მოლაშქრეებს მიაქვთ დიდძალი ჟურნალ-გაზეთები და წიგნები.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების პლენუმები

24 ივნისს, საღამოს 8 საათზე, ლენინის რაიკომის სხდომათა დარბაზში მოწვეულია საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ლენინის რაიკომის მორიგი პლენუმი.

დღის წესრიგშია: 1. 26 კომისრის სახელობის ქარხნის დირექტორის ამხ. აბრამოვის და ავტომშეკეთებელი ქარხნის დირექტორის ამხ. კოქლავაშვილის მოხსენება—საქ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესაბამისად წარმოებაში ოსტატის როლის ამაღლების შესახებ; 2. რაიკომის ანგარიში 1941 წლის 29 იანვრიდან 24 ივნისამდე ლენინის რაიონის პარტორგანიზაციებში პარტიაში მიღების ხაზით ჩატარებული მუშაობის შესახებ (მომხსენებელი—რაიკომის საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ამხ. კლეშჩენკო).

24 ივნისს, საღამოს 8 საათზე, რაიკომის პარტკაბინეტში (25 თებერვლის ქ., № 2) მოწვეულია საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომის მორიგი პლენუმი.

დღის წესრიგშია: 1. თბილისის თამბაქოს ფაბრიკის დირექტორის ამხ. როსტომაშვილის და თბილისის სპილენძსატკეცი ქარხნის დირექტორის ამხ. მაღლაკელიძის მოხსენება „საწარმოებში სისუფთავის დაცვისა და წესრიგის დამყარების საკითხზე საქ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელების შესახებ“, 2. რაიკომის ანგარიში 1941 წლის 24 მარტიდან 24 ივნისამდე სტალინის რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში პარტიაში მიღების ხაზით ჩატარებული მუშაობის შესახებ (მომხსენებელი—რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ამხ. ხითარიშვილი).

24 ივნისს, საღამოს 8 საათზე, „კომუნისტის“ კომბინატის კლუბში (ლენინის ქ. № 28) მოწვეულია საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის მორიგი პლენუმი.

დღის წესრიგშია: 1. თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ამხ. დ. ყიფშიძის და თბილისის ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის უფროსის ამხ. ჭიჭინაძის მოხსენება ახალი სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ; 2. რაიკომის ანგარიში 1941 წლის 8 აპრილიდან 24 ივნისამდე ორჯონიკიძის რაიონის პარტორგანიზაციებში პარტიაში მიღების ხაზით ჩატარებული მუშაობის შესახებ (მომხსენებელი — რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ამხ. შათირიშვილი).

24 ივნისს, საღამოს 8 საათზე, პიონერთა სასახლეში მოწვეულია საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ბერიას რაიკომის VIII პლენუმი.

დღის წესრიგშია: 1. სახალხო კომისარიატების პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ (მომხსენებელი რაიკომის მდივნის მოვალეობის აღმსრულებელი ამხ. დ. ხანთაძე); 2. რაიკომის ანგარიში 1941 წლის 1 აპრილიდან 20 ივნისამდე ბერიას რაიონის პარტორგანიზაციებში პარტიაში მიღების ხაზით ჩატარებული მუშაობის შესახებ (მომხსენებელი — რაიკომის მდივანი ამხ. ლოარსაბოვი).

სპექტაკლები უცხო ენაზე

23 ივნისს, საღამოს 8 საათზე, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის სექცია (კათედრის გამგე ი. ტატიშვილი) მართავს ინტერნაციონალურ საღამოს. წარმოდგენილი იქნება ჯონ გოლსუორსის „პატარა კაცი“ ინგლისურ ენაზე, მოლიერის „სკაპენის ოინების“ ერთი სცენა ფრანგულ ენაზე, გაიმართება დეკლამაცია გერმანულ ენაზე.

საღამოს ხელმძღვანელობს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. ყუშიტაშვილი.

ლექციები მოხსენებები

23 ივნისს, საღამოს 8 საათზე, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის (აუდიტორია № 103) საქართველოს ისტორიის კათედრის ღია სხდომაზე ჩატარდება საჯარო მოხსენებები: აკად. ს. ჯანაშია — „ეპიზოდი მიწისათვის ბრძოლის ისტორიიდან ტაოკლარჯეთში“; „ძველი კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიიდან“; პროფ. ნ. ბერძენიშვილი — „კახეთ-რუსეთის ურთიერთობიდან XVII საუკუნეში“.

შესვლა თავისუფალია.

23 ივნისს, საღამოს 8 ½ საათზე, გორკის სახელობის კლუბში (პლეხანოვის პროსპ., 65) შესდგება ამხ. სულეიმანის ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„საერთაშორისო მდგომარეობა“.**

ბილეთი ღირს 1 მან. ბილეთები იყიდება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის სახელობის პარტკაბინეტში და კლუბის სალაროში.

23 ივნისს, საღამოს 8 ½ საათზე, საქესტრადის შენობაში (პლეხანოვის პროსპ., 123) შესდგება ამხ. **ზავრიევის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„საერთაშორისო მდგომარეობა“.**

ბილეთები იყიდება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის სახელობის რაიკომში და თეატრის სალაროში.

23 ივნისს, საღამოს 8 საათზე, ლენინის რაიკომის სხდომათა დარბაზში (საბჭოს ქ. 134) შესდგება ამხ. მოისწრაფიშვილის ლექცია ქართულ ენაზე: **„ბოლშევიკური ორგანიზაციების ჩასახვა და გაფორმება ამიერ-კავკასიასა და საქართველოში“.**

დასწრება თავისუფალია.

რადიოგადაცემა დღეს

12.30 — ლიტერატურული გადაცემა ქართულ ენაზე; 13.15 — ბოშური სიმღერები და ცეკვები; 17.00—გადაცემათა პროგრამა; 17.15—გასართობი მუსიკის კონცერტი; 17.50—საუბარი თემაზე: „სიყვარულისა და ქორწინების შესახებ სოციალისტურ საზოგადოებაში“; 18.45—კონცერტი; 19.00 — ტრანსლაცია პიონერთა სასახლიდან; 19.58 — დროის შემოწმება; 20.00—უკანასკნელი ცნობები; 20.15 — ლიტერატურულ-მუსიკალური გადაცემა რუსულ ენაზე; 21.00 —კონცერტი ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის მებრძოლთა შეკვეთით; 00.30 — უკანასკნელი ცნობები მოსკოვიდან.

საქართველოსა და უკრაინის მძლეოსანთა ტრადიციული მატჩი

ივლისის პირველ რიცხვებში ხარკოვში მოეწყობა საქართველოსა და უკრაინის მძლეოსანთა ტრადიციული ამხანაგური მატჩი. ამჟამად თბილისში საქართველოს გუნდის საწვრთნელ შეკრებაში მონაწილეობენ საქართველოს უძლიერესი მძლეოსნები: სპორტის დამსახურებული ოსტატები ბ. და ვ. დიაჩკოვები, მსოფლიო რეკორდსმენები ნ. დუმბაძე და ტ. სევრიუკოვა, ორდენოსანი ლ. გოკიელი, გ. ვერჩენკო (ბათუმი), პ. ლებედევი (ბათუმი), სსრ კავშირის რეკორდსმენი ხელყუმბარის ტყორცნაში ლ. ანტიპიევი, სსრ კავშირის რეკორდსმენი სიმაღლეზე ხტომაში გ. ათანელოვი, ს. აკოფოვი, კ. პერეგუდოვი, ივლევი და სხვ.

აღსანიშნავია, რომ შეკრების მონაწილეთა საწვრთნელი გამოსვლების დროს ორდენოსანმა ლინა გოკიელმა, რომელიც უკვე დიდი ხანია სასპორტო ბილიკზე არ გამოსულა, 200 მეტრზე რბენაში სრულიად-საქართველოს ახალი რეკორდი (27,6 წამი) დაამყარა. საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა აგრეთვე ზ. სუხარევამ 300 მეტრზე რბენაში. კარგი შედეგები უჩვენეს ვერჩენკომ (რბენა), ათანელოვმა (ხტომა), აკოფოვმა (რბენა) და სხვ.

კალენდარული მატჩების შედეგი

19 ივნისს სსრ კავშირის ჩემპიონში მოსკოვის „დინამოს“ და სტალინგრადის „ტრაქტორის“ მატჩი დამთავრდა ფრედ—1:1. სტალინოს „სტახანოველმა“ ანგარიშით 1:0 მოუგო მოსკოვის პროფკავშირების მეორე ნაკრებ გუნდს.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლში

24 ივნისს, საღამოს 9 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლის სალექციო დარბაზში ჩატარდება ამხ. მეძლიძის ლექცია. ქართულ ენაზე: **„საქ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციის დადგენილებათა ისტორიული მნიშვნელობა“.**

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებაში ამხ. ხითარიშვილთან სამი დღის ვადაში უნდა გამოცხადდეს ამხ. არუთინის-ძე ეხშატიანი.

საქ. კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1538433, გაცემული მიხეილ დავითის-ძე **ვადაქარიას** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ზემო-სვანეთის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 3305959, გაცემული ბიქტორ ბექმურზას-ძე **ნავერიანის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ყვარლის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 3727397, გაცემული დიმიტრი ლუკას-ძე **გზირიშვილის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ., კომკავშირელი — „ცხენის ხუნდის საუნჯენი“, **ოქტომბერი, სპარტაკი, 26 კომ. სახ.**—„სიმღერა სიყვარულზე“, **დამკვრელი**—„მაისის ღამე“, **ლუქსემბურგის სახ.**—„ქალიშვილი კამჩატკიდან“, **გლეხთა სახლი** —„მებრძოლი ბუდიონი“, **26 კომ. სახ.** (ზამთრის)—„ცამეტნი“, **კომინტერნი** — „დაბრუნება“, **ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — „ფრონტელი მეგობარი ქალები“, **ნავთლუღის რკინიგზის კლუბი** — „იუდენიჩის განადგურება“, **საზ. კვების კავშირის კლუბი** — „სალავათ იულაევი“, **ორჯონიკიძის სახ. პარკი** — „ჩვენ კრონშტადტიდან ვართ“, **წითელი არმიის სახლი**—„დიდი ვალსი“; **დღის სეანსები: დამკვრელი** — „საიდუმლო კუნძული“, **26 კომ. სახ.**—„ორიოლის დაღუპვა“, **განთიადი**—„თოვლიანთა ქვეყანაში“, „ძველი ეზო“, **ნავთლუღის რკინიგზის კლუბი**—„სუვოროვი“, **ლუქსემბურგის სახ.** — „გმირის ძმა“, **ოქტომბერი** — „მშვენიერი ვასილისა“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრი

ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის გასტროლები

22 ივნისს	24 ივნისს	25 ივნისს
გუშინდელნი	მეფე ლირი	დაჭრუნებული სამრო, თარგმ. ფ. გოკიელისა

ბილეთები იყიდება თეატრისა და რაიონულ სალაროებში. თეატრის სალარო ღიაა დღის 10½-დან 2 საათამდე, საღ. 6-დან 9½ საათამდე. წარმოდგენის დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

22 ივნისს	24 ივნისს	25 ივნისს
აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტის ფატმა მუხტაროვას მონაწილეობით სამსონ და დალილა	მე-3 აბ. მე-19 წარმ. ქეთო და კოტე	მე-2 აბ. მე-19 წარმ. აიდა

დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი 1940-41 წ.წ. სეზონი

22 ივნისს პრემიერა მკაცრი ქალიშვილები

24 ივნისს სერია მე-2 აბ. მე-10 წარმ. მკაცრი ქალიშვილები

დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი 1940-41 წ. წ. სეზონი

22 ივნისს ოტელო

24 ივნისს უდანაშაულო დამნაშავენი

დასაწყისი საღ. 8 ს. 30 წ.

საქართველოს განსახკომის უმაღლესი სკოლის სამმართველო

აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1941 წლისათვის თბილისის უცხო ენათა სამწლიან სამასწავლებლო ინსტიტუტში

ფრანგული, გერმანული და ინგლისური ენების სპეციალობაზე.

ინსტიტუტში მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 17-დან 35 წლამდე ასაკისა, რომელსაც მიღებული აქვთ საშუალო განათლება. საშუალო სკოლის ფრიადოსნები ინსტიტუტში მიიღებიან უგამოცდოდ, დანარჩენები კი აბარებენ საკონკურსო გამოცდებს შემდეგ საგნებში:

ა) უცხო ენაში (სპეციალობის მიხედვით), ბ) ქართულ ენასა და ლიტერატურაში, გ) რუსულ ენასა და ლიტერატურაში, დ) სსრკ ხალხთა ისტორიაში, ე) გეოგრაფიაში.

განცხადებები სათანადო საბუთებით მიიღება ა. წ. 31 ივლისამდე.

განცხადებების მიღება იწარმოებს თბილისის პუშკინის სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტის კანცელარიაში (მარის ქ. № 32) დილის 9 საათიდან საღამოს 5½ საათამდე.

უმაღლესი სკოლის სამმართველოს უფროსი მ. ჩხეტია.

საქართველოს კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის განმანათლებელ მეურნეობა

აჭარის ლენინის სახელობის ჩაისა და სხვა სუბტროპიკულ კულტურათა ტექნიკუმი

(ამზადებს ჩაისა და სხვ. სუბტროპიკულ კულტურათა უმცროს აგრონომებს)

აცხადებს მიღებას ქართულ-რუსული სექტორის I კურსზე 1941-42 წლისათვის. სწავლების ვადა 3 წელი.

ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 15-დან 30 წლამდე, რომელთაც აქვთ განათლება არანაკლებ საშუალო სკოლის 7 კლასისა და რომელნიც ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს.

მსურველებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. ა) ავტობიოგრაფია, 2) განათლების მოწმობა (ატესტატი-დედანი), 3) დაბადების მოწმობა, 4) ჯანმრთელობის მოწმობა (სამკურნალო დაწესებულებიდან), 5) გასაწვევი ასაკის და სამხედრო ვალდებულნი წარმოადგენენ ცნობას სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის შესახებ. 6) სამი დამოწმებული ფოტოსურათი (უქუდოდ გადაღებული), 7) პასპორტი (პირადად).

განცხადებების მიღება სწარმოებს 15 აგვისტომდე.

მისაღები გამოცდები ჩატარდება 20-დან 25 აგვისტომდე შემდეგ საგნებში:

ქართული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი), რუსული ენა (წერა, ზეპირი), მათემატიკა (წერა, ზეპირი), ფიზიკა, სსრკ კონსტიტუცია.

საშუალო სკოლის და მუშფაკის კურსდამთავრებულნი და აგრეთვე არასრული საშუალო სკოლის ფრიადოსნები ჩაირიცხებიან უგამოცდოდ, ფრიადოსნები მიიღებენ სტიპენდიას. ყველა ჩარიცხული უზრუნველყოფილი იქნება ბინით, განათება-გათბობით და საჭირო ინვენტარით. ტექნიკუმთან არის სასადილო.

განცხადებისა და საბუთების გამოგზავნა შეიძლება ფოსტითაც შემდეგი მისამართით: მახინჯაური, მწვანე კონცხი, აჭარის ლენინის სახელობის ჩაისა და სხვ. სუბტროპიკულ კულტურათა ტექნიკუმის დირექტორს.

ტექნიკუმის დირექტორი ი. კარტოზია.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სანიტარულ-საფერშლო სკოლაში

მიღების პირობები 1941-42 სასწავლო წელს.

სკოლაში მიიღებიან 15-დან 35 წლამდე ასაკის პირები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ შვიდწლედი.

გამოცდები იწარმოებს რუსულ ენაში, ქართულ ენაში და არითმეტიკაში (სამივე საგანში ზეპირი და წერითი) და სსრკ კონსტიტუციაში.

უგამოცდოდ მიიღება, ვისაც დამთავრებული აქვს ათწლედი, მუშფაკი და ტექნიკუმი, აგრეთვე მოწაფეები 8, 9 და 10 კლასებიდან და 7-წლედდამთავრებული ფრიადოსნები. სწავლის ვადა 3 წელი, სწავლა იქნება საღამოს საათებში. მიღებული მოწაფეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესით.

განცხადებების მიღება საღამოს 7-დან 10 საათამდე. საჭიროა შემდეგი საბუთების წარმოდგენა:

1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. მეტრიკული ამონაწერი, 3. ჯანმრთელობის მოწმობა და 4. სამი ფოტოგრაფიული სურათი შემოწმებული. გამოცდებზე გამოცხადებისას წარმოდგენილ უნდა იქნას პასპორტი ან პირადობის დამამტკიცებელი საბუთი.

გამოცდები იწარმოებს 15-დან 28 აგვისტომდე. ხსენებული სკოლის ფრიადოსან კურსდამთავრებულთ უფლება ეძლევათ ჩაირიცხონ სამედიცინო და ყველა ტიპის ინსტიტუტებში.

მისამართი: თბილისი, აბოსპირელის ქ. № 6, კიროვის რაიონი. აბასაბადის მოედანთან. მე-21 საშუალო სკოლის შენობა.

289 სკოლის დირექცია.

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი

(ფუნიკულორის პლატო)

22 ივნისს ესტრადაზე დიდი საღამო-კონცერტი

მონაწილეობენ ვასო გოძიაშვილი (ესტრადის მსახიობთა საკავშირო კონკურსის ლაურეატი, რესპ. დამს. არტ., ორდენოსანი) ჯაზ-ორკესტრის თანხლებით და სახელმწიფო ესტრადის მსახიობები კონცერტი მიჰყავს ა. გომელაურს, როიალთან — კომპოზიტორი ვ. შავერზაშვილი.

დასაწყისი 9 ს. 30 წ.

სამი სიმონსი საჰაერო ატრაქციონი ფრენა 25-მეტრიანი ანძიდან. დასაწყისი 9 ს. 30 წ.

თბილისის კინოსტუდიასთან არსებული კინომსახიობთა სკოლა აცხადებს სტუდენტთა I კურსზე მიღებას 1941-42 სასწ. წლისათვის.

კინომსახიობთა სკოლაში იწარმოებს მიღება როგორც ქალებისა, ისე ვაჟებისა 17-დან 25 წლამდე, რომელთაც აქვთ სრული საშუალო განათლება და ჩააბარებენ დაწესებულ მისაღებ გამოცდებს.

შემსვლელებმა უნდა იცოდნენ ზეპირად: ა) იგავ-არაკი, ბ) ლექსი და გ) ნაწყვეტი მოთხრობიდან. გარდა ამისა გასინჯული იქნება სმენა, რიტმიულობა და მსახიობთა ნიჭი.

სპეციალური გამოცდების ჩაბარების შემდეგ შემსვლელები დაშვებული იქნებიან შემდეგ გამოცდებზე, რომელიც გათვალისწინებულია საშუალო სკოლის პროგრამით:

1) ქართული ენის (ზეპირი და წერილობით), 2) რუსული ენის (ზეპირი და წერილობით), 3) სსრკ ისტორია.

ფრიადოსნები თავისუფლდებიან გამოცდების ჩაბარებისაგან საშუალო სკოლის პროგრამით.

შემსვლელებს შემოაქვთ სკოლის დირექციის სახელზე: განცხადება, ავტობიოგრაფია, 2 ფოტოსურათი, ატესტატი სრული საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ, (ცნობა სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდ. შესახებ და პასპორტი უნდა წარადგინოთ პირადად).

განცხადებების მიღება კინო-მსახიობთა სკოლის კანცელარიაში თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 164, 15 აგვისტომდე 10-დან 4 საათამდე.

მისაღები გამოცდები 20-დან 25 აგვისტომდე.

მეცადინეობა იწყება 1 სექტემბერს.

254 დირექცია.

ახლად საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის იხსნება უმაღლეს სასწავლებლებში (სამედიცინო, სტომატოლოგიური, სახელმწიფო უნივერსიტეტი) შესასვლელად მოსამზადებელი კურსები

მიღება საღ. 7-დან 10 საათამდე.

მისამართი: მელიქიშვილის № 2, 57 საშუალო სკოლა, ვერის ბაზრის ახლოს.

12355 დირექცია.

თბილვაჭრობის სავაჭრო, საგეგმო და დამზადების განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან ილია იოსების-ძე კვერნაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში. 12356

დავით ხუნდაძე, შურა ნორაკიძე, იონა ბროკიშვილი, დავით ცატუროვი, გიორგი ნადირაშვილი, კოლია ცინცაძე, ანია პოლომენჩუკი, იუწყებიან ოთარ პანტელეიმონის-ძე ნადირაძის გარდაცვალებას. 12349

მეუღლე ელისაბედ, შვილები ფედოსი, ნადია, ლეო, მამია, რძლები თამარ, ნათელა, სიძეები ალექსანდრე, სარდიონ, გიორგი და შვილიშვილები იუწყებიან სიო ექვთიმეს-ძე ცხოველიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 22/VI სურამში. 12360

ცოლი ნინო რომანოზის-ასული სხირტლაძისა იუწყება დიანოზ იაკობის-ძე სხირტლაძის გარდაცვალებას. გამოსვენება 22/VI 6 ს. გომბორის, 5, კუკიის სასაფლაოზე. 12361

ცოლისძმები ვიქტორ, სევერიანე, იონა ცოლშვილით, ცოლისდები პოლმანი, პასიკო ქმარშვილით იუწყებიან სიძის, დიანოზ იაკობის-ძე სხირტლაძის გარდაცვალებას. 12361

კოტე გუნცაძე იუწყება, რომ დღეს 6½ ს. კუკიის სასაფლაოზე დაიკრძალება მისი მეუღლის ლიზა შაჭიაშვილი-გუნცაძის, სამოქალაქო პანაშვიდი. 12363

ცოლი ელენე, რძალი ელისაბედ ჯილავური, ცოლისდა ეკატერინე, სიძე ივანე ფიცხელაშვილი შვილებით და რძლით იუწყებიან ალექსანდრე სიმონის-ძე დათუნაშვილის გარდაცვალებას, გამოსვენება 22/VI 5 ს. ახალციხის შესახვევი, 6, კუკიის სასაფლაოზე. 12362

მეუღლე ივა, შვილები ნინო, თამარ ბესიშვილები, შვილიშვილები გივი გონაძე იუწყებიან დიონისი დიმიტრის-ძე ბასიშვილის გარდაცვალებას, გამოსვენება 22/VI 2 ს. გოგოლის, 20, კუკიის სასაფლაოზე. 12365

მამა გიორგი, დედა ანეტა, დები სონია, ნინელი, ძმა ოთარ (ცაცო) იუწყებიან თამრიკო გიორგის-ასულ სანდომირსკაიას გარდაცვალებას. პანაშვიდი 22/VI, 8 ს. ლენინის ქ. 14.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის — 3-62-26; პ/მგ. რედაქტორის მოადგილისა — 3-63-03; პასუხისმგებელი მდივნის — 3-06-88; განყოფილებისა: პარტიული და პროპაგანდის — 3-81-84; სასოფლო-სამეურნეოს — 3-73-40; სამრეწველო-სატრანსპორტო — 3-80-83; ლიტერატურისა და ხელოვნების, განათლება-ჯანმრთელობის და ინფორმაციის — 3-80-84; სამხედროსი — 3-57-61; წერილების — 3-73-24; პ/მგ. მორიგისა და გამოშვების—3-81-65; გამომცემლობის—3-51-81; სტამბის დირექტორის—3-77-70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ., № 28.

უე 21717